ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№63 (1501) 28.XI–2.XII, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა არჩილი (მინდიაშვილი):

## უნდა დასრულდეს ხალხის ზომბირება, იგი მომავალში საშინელ შედეგებს მოგვიტანს

*

ბავშვისთვისაც კი ცნობილია, რომ 666 არის ელინური სახელი ანტიქრისტესი. იესო ქრისტეს სახელი რომ რიცხვებში გადავიყვანოთ, 999-ს მივიღებთ.

*

ძნელი არ არის, მივხვდეთ, ვისი მონაფეაა ეს გოგონა, მეტადრე იგი ცრუ წინასწარმეტყველის მუჰამედის რელიგიას მისდევს.

*

... ასევე ნადგურდება ქართული სული მწვალებლობისაგან, ე.წ. ეკუმენიზმისაგან, რომელთა შორის ყველაზე უფრო მძვინვარენი არიან ე.წ. იელოვას მომხრეები...

*

ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოება ჰყვავის, ასეთ ადამიანებს, ასეთ გრძნეულებს, როგორც ეს გოგოა, უკრძალავდნენ მოსახლეობასთან შეხებას.

რედაქციისაგან: ამ ინტერვიუს დაბეჭდვა, რომელსაც ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდიდან წაიკითხავს მკითხველი, ძნელი გადასაწყვეტი იყო რედაქციისათვის, ვინაიდან გვესმის მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც მხსნელად მოევლინათ ჯანდარელი გოგონა და ძალიან ბევრს დედობის უსაზღვრო სიხარული განაცდევინა, მაგრამ მეორეს მხრივ მღვდლის მსახურის (თან ისეთი მსახურის, როგორი ავტორიტეტიც მამა არჩილია), აზრის არმიწვდენაც საზოგადოებისათვის არ იქნებოდა სწორი.

მკითხველს ვთხოვთ, რედაქციაში ნუ დარეკავენ ამ წერილის კომენტარებისათვის, ვინაიდან ჩვენ ისევე გაოგნებულნი ვართ ამ აუხსნელი მოვლენის წინაშე, როგორც მთელი საზოგადოება ჩვენ ვერ გამოვდგებით ვერც ამ მოვლენის და ვერც მამა არჩილის ინტერვიუს რეცენზენტებად...



## თამარ ლომიშვილი: ლოთი ქობალიას არანაირად არ მისცეს აფხაზეთში ბრძოლის საშუალება...

ლოთი ქობალია:

## „სტიჩკინის“ კონსტრუქციის პისტოლეტი ვაჩუქე ა.აბაშიძეს

მეოთხე გვერდი

## „იმდენ ფულს ვშოულობ, რომ თავზარი მეცემა...“

მეხუთე გვერდი

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხანძარი სართიჭალის ნავთობის საბადოების ტერიტორიაზე

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა ჯ.სურმავამ აცნობა, 26 ნოემბერს 16 საათსა და 08 წუთზე სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ სართიჭალის ნავთობის საბადოების ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძარი. მისი მიზეზი 5000 ტონიანი ნავთობის რეზერვუარის გაჩიანის სადგურამდე დამაკავშირებელი 500 მმ–იანი მილსადენის დაზიანება გახდა. დაზიანების შედეგად ნავთობი ორი მიმართულებით – სოფ. მულანლოსა და ნავთობის გამანაწილებელი პუნქტისაკენ დაიღვარა. ხანძარი მძვინვარებდა 2 კმ სიგრძისა და 3 კმ სიგანის ტერიტორიაზე. შემთხვევის ადგილზე თბილისიდან გავიდა 9 სახანძრო მანქანა, რუსთავიდან 1, საგარეჯოდან 1, გარდაბნიდან 1. ხანძრის ლოკალიზება მოხდა 30 წუთში, ხოლო მისი ჩაქრობა 1 საათში მოხერხდა. სტიქიის შედეგად დამწვარი ნავთობის რაოდენობა, მატერიალური და ეკოლოგიური ზარალი დგინდება. ცნობილი გახდა, რომ ნავთობი პატარა მდინარის მეშვეობით ჯანდარის ტბაში ჩავიდა, სადაც ლოქოს ამრავლებენ.

იპრინდა

### მეტროპოლიტენს არ გააჩნია ნორმალური მუშაობის პირობები

მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ მიმართა საქენერგოსა და თელასის ხელმძღვანელობას, დაუყოვნებლივ შეუქმნას მათ ნორმალური მუშაობის პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტროპოლიტენი შეწყვეტს მუშაობას და საქენერგოსადმი 1995 წლის დავალიანების გადახდა ვერ მოხერხდება. რაც შეეხება 1996 წლის გადასახადს, მეტროპოლიტენის უფროსების თქმით, იგი უკვე დაფარულია. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტისათვის თბილისის მერიის პრეს–ცენტრიდან გახდა ცნობილი.

როგორც უკვე ცნობილია, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ პრეტენზიები გამოთქვა პიკის საათებში მეტროს სადგურებში ძაბვის ვარდნის გამო, რაც ესკალატორების ხშირ გაჩერებას და მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

იპრინდა

### საქართველოს დელეგაციის ვიზიტი აფხაზეთში

როგორც სარწმუნო წყარო იტყობინება, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ თბილისში ოზგანის სტუმრობის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიიღო საქართველოს დელეგაცია, რომლის ერთ–ერთი წევრი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. არძინბას განცხადებით, ეს ვიზიტები ხელს შეუწყობს აფხაზეთსა და საქართველოს შორის მშვიდობიან მოლაპარაკებათა გაგრძელებას.

იბერია

# მამა არჩილი: უნდა დასრულდეს იგი მომავალში საშინელ

– მამაო არჩილ, თქვენ ალბათ გსმენიათ ჯანდარელი აზერბაიჯანელი გოგონას შესახებ, რომელიც შელოცვებით ეხმარება უშვილო ოჯახებს შვილის ყოლაში. რას იტყოდით კონკრეტულად ამაზე, და ზოგადად ამდაგვარი მოვლენების შესახებ?

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა მსურს ჩვენი მცირე საუბარი შექსპირის ჰამლეტის სიტყვებით დავიწყო: „ლამაზო ქალო“, – როგორც მიმართავს ოფელიას, – „ქუსლის ოდენადაც კი არ მიახლოებიხარ ზეცასო“ და ის, რაც ოფელიაზე თქვა ჰამლეტმა, მეც, როგორც მოძღვარმა, შეიძლება ვთქვა ქართველების ნაწილზე. ჯერ კიდევ ოცი საუკუნის წინ ამბობდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე: ვინც არ უნდა მოვიდეს, ყველას მიიღებ, მაგრამ მამისაგან მოსულ ძეს აამაღლებ, ე.ი. ჯვარზედ აამაღლებო. მართლაც, აღსრულდა უფლის ეს წინასწარმეტყველება. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს დღევანდელ კაცობრიობაზე, რომელიც ესოდენ გამოფიტული, დაცარიელებულია. ავიღოთ ჩვენს სინამდვილეში რიგითი ქართველი: კრიშნაიდი კრიშნაიდი ხდება, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს ეს მე–20 საუკუნის მიწურულს, ბუდისტი – ბუდისტი, ბაპტისტი, 50–იანელი, ე.წ. იელოველი, რომელიც განსაკუთრებული უგუნურებით და ღვთისმგმობობით გამოირჩევა სხვადასხვა სექტებს შორის. და ამ ფონზე რა უნდა იყოს გასაოცარი იმაში, რომ რომელიღაც მუსულმანმა გოგომ ამდენი მრევლი შეიძინოს. მეტადრე ცრუ სასწაულებს დახარბებული ხალხი მოიგონეთ. გავიხსენოთ: რამოდენიმე წლის წინ კაშპიროვსკის გამოჩენა ასპარეზზე და მათ შორის საქართველოში. სხვათაშორის, ერთადერთი ქვეყანა, სადაც სილა გააწნეს მას და უკან გააბრუნეს, სწორედ საქართველო იყო. აღფრთოვანებული ოვაციები კაშპიროვსკის, ჩუმაკის და სხვათა მიმართ არ ნელდებოდა. და შემდგომ კი მეცნიერთა გამოკვლევები პრესაში სინამდვილეში ზომბირება იყო ადამიანის ცნობიერებისა. ადამიანები კი ავადდებოდნენ ან ფსიქიურად, ვიდრე სულიერ აშლილობამდე, ან ორგანულად. როგორც მე–4 საუკუნის ერთ–ერთი განდეგილი წმინდა მამა ნილოს განდეგილი ამბობს, ეშმაკს ძალუძს ერთ–ერთი დემონი გამოიყვანოს ადამიანიდან, ვთქვათ, ის დემონი, რომელიც გულის ავადმყოფობას იწვევს ადამიანში და შეიყვანოს სხვაგვარი დემონი. ამ უხილავ სამყაროს ადამიანი ხომ ვერ აღიქვამს. გარეგნულად იქმნება ილუზია განკურნების. სინამდვილეში კი ხდება ადამიანის მოხიბვლა და დატყვევება ბოროტი სულებით. მე ვფიქრობ, სწორედ რაღაც მსგავსთან გვაქვს საქმე ამ მაჰმადიანი მლოცველის სახით. საინტერესოა ისიც, რომ თურმე დაუქადნია, 666 სიცოცხლე უნდა გაჩნდესო ამგვარად. ალბათ, დღეს ბავშვისთვისაც კი ცნობილია, რომ 666 არის ელინური სახელი ანტიქრისტესი. იესო ქრისტეს სახელი რომ რიცხვებში გადავიყვანოთ, 999–ს მივიღებთ. ანტიქრისტე კი ანტიპოდი უნდა იყოს, რომელიც პაროდირების ჯადოქარი იქნება. აი, მაგალითად, ქრისტემ პირველად 12 წლის ასაკში გამოავლინა, რომ იგი ღვთაებაა და არ არის ლიტონი ადამიანი. ანტიქრისტეც 12 წლის ასაკში გამოაჩენს ერთგვარ უჩვეულობას. როგორც ლავრენტი ჩერნიგოველი წინასწარმეტყველებს. პირველად ამ ასაკში იხილავს იგი სატანას და ამ ასაკში მოხდება სატანის საბოლოო ჩასახლებაც. თვით ამითაც კი პაროდირებას ახდენს ქრისტესას. ქრისტე განკაცდა სულიწმინდისაგან, მარიამ ქალწულისაგან. ანტიქრისტე არ განკაცდება, არამედ მასში ეშმაკი ჩასახლდება. თუმცაღა, ხმას გაავრცელებს თავისი ცრუ მოციქულების გზით, რომ იგი ქალწულისაგან იშვა უმამოდ. მართლაც, ერთი შეხედვით სიმართლე იქნება ამ სიტყვებში, რადგან იგი ხელოვნური ჩასახვის გზით გაჩნდება. კერძოდ, ერთ–ერთი რუსი მამაკაცის სპერმას შეიყვანენ ებრაელი მეძავი დედაკაცის საშოში და მოხდება ეს ჩასახვა. დღეს ბევრ კითხვას სვამენ, სხვათაშორის, რამდენად გამართლებული, ეკლესიისათვის მისაღებია ხელოვნური ჩასახვის გზით ბავშვის ყოლა. ეკლესიისაგან ეს არის უარყოფილი, და უფრო მეტიც, დაგმობილი. ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ ანტიქრისტე, ეს მსოფლიო მტარვალი, დედამიწას სწორედ ამ გზით მოევლინება. მართლაც, მას არ ეცოდინება, ვინ არის მისი მამა, ისე, როგორც ქრისტე იშვა მამისაგან უდედოდ და დედისაგან უმამოდ, მაგრამ სულ სხვადასხვა თვალსაზრისებია, რა თქმა უნდა, ამაში. მერმე, საინტერესო ის არის, რომ მას არავითარი მშობლიური გრძნობები, როგორც ასეთი, არ ექნება. ის იქნება მსოფლიო კოსმოპოლიტი. კოსმოპოლიტიზმი, თუნდაც აქედან გამომდინარე, სატანიზმის ერთ–ერთი გამოვლინებაა, რომელიც ადამიანში ყოველივე ეროვნულს კლავს. მაშინ, როდესაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წმინდა მამები ეკლესიას, საღვთო წერილს, რათა გვქონოდა ჩვენ სიყვარული მამულის მიმართ, მშობლის მიმართ და ასე შემდეგ. აი, მაგალითად, იქამდე მიდის პავლე მოციქული საკუთარი ერისა და მამულის სიყვარულში, რომ ღმერთს შეჰღაღადებს: დე, მე – შენი მოციქული, ჯოჯოხეთში ვიყო, ხოლო ჩემი ხორციელი ნათესავნი ისრაელნი აცხოვნე. ან, თუნდაც, ილია თესბიტელი, რომელიც საღვთო მოსაგრეობით არის ცნობილი წმინდა წერილიდან. ხშირად იგი, ვიდრე სიკვდილის განსაცდელამდე, ევედრებოდა ღმერთს საკუთარი ერისა და შეცთომილი ისრაელის გადარჩენას. თუ გნებავთ, მოსე წინასწარმეტყველი გავიხსენოთ, რომელიც არაერთხელ ჩამდგარა ღვთის რისხვის ჟამს შორის ერისა და შორის ღმერთისა, ვიდრე საკუთარი თავის განწირვამდე. მოვიგონოთ, თუ გნებავთ, წმინდა ანდრია სალოსის წინასწარმეტყველება, რომელიც ამბობდა, რომ ანტიქრისტე, პირველყოვლისა, ეცდება ოჯახების მოშლას, რომლებიც ერთეულებს წარმოადგენენ ეროვნული სახელმწიფოსას. განვიხილოთ, თუნდაც დღევანდელი ე.წ. ინტეგრაციის მოვლენა. ინტეგრაცია კი ხდება სოციალურ სფეროში, პოლიტიკურში, რელიგიურში ეკუმენიზმის სახით, რაც ფაქტიურად ამზადებს კაცობრიობას ანტიქრისტეს შესახვედრად. ანტიქრისტე ერთბაშად როდი გაბატონდება დედამიწაზე. ის თანდათანობით მოიპოვებს ამას. დაიპყრობს ადამიანს მწვალებლობათა სახით, კოსმოპოლიტიზმის სახით და ასე შემდეგ. და ის ეთნოკონფლიქტები, რომლებიც ხელოვნურად არის გამოწვეული მასონებისაგან და დიდი ხანია, დამუშავებულია მასონურ ლოჟებში. დღეს ყველასთვის ცნობილია ის სოციალური უკუღმართობანი, გაჭირვება, ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც ხელოვნურად წარმოიქმნება უმძლავრესი ულტრათანამედროვე საშუალებებით და იარაღით, დაცხრება თითქოს, როცა ანტიქრისტე გამოჩნდება სარბიელზე. თქვენ ალბათ იცით მამათა წინასწარმეტყველებიდან და აპოკალიფსიდან, რომ 7 წელიწადი იმეფებს იგი დედამიწაზე. პირველი სამწელიწადნახევარი იქნება მოჩვენებითი სიკეთის. ამიტომ უწოდა ჯერ კიდევ 16 საუკუნის წინათ წმინდა მამამ მას მელი, თითქოს ყველანაირ გაჭირვებას მოსპობს, რომელიც ხელოვნურად არის გამოწვეული, და ისეთ სოციალურ დოქტრინას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შესთავაზებს, რომ დააცხრობს ეთნოკონფლიქტებს, თითქოს აღადგენს სოციალურ სამართლიანობას, შეწყდება მიწისძვრები. თქვენ ალბათ იცით, რომ სამი ასეთი ლაბორატორია მოქმედებს, მათ შორის, ეშერისა – აფხაზეთში. მას ისრაელამდე ძალუძს მოქმედება, რომლებიც ხელოვნურად იწვევენ მიწისძვრებს. მას სხვა ეკოლოგიური ცვლილებებიც მოაქვს დედამიწის პირზე და ატმოსფეროში. ამიტომ სულიერად დაცარიელებული ადამიანები მიიღებენ ანტიქრისტეს, როგორც მესიას, უარყოფენ რა ჭეშმარიტ მესიას – ქრისტეს. ერთი სიტყვით, სამწელიწადნახევარი საშინელი დევნა იქნება ყოველივე ადამიანურის, არათუ ქრისტიანულის. აქვე დავსძენდი, რომ სრულიად სხვაგვარი პროცესები განვითარდება საქართველოში, რომელიც პირველყოვლისა ივერიის ღვთისმშობლის ხატის დაბრუნებასთან არის დაკავშირებული ათონიდან, რომელიც მისი დატოვების შემდეგ ჩაიძირება ზათქითა და მიწისძვრებით ხმელთაშუა ზღვაში. ერთი სიტყვით, ამ ერთგვარი ექსკურსით წინასწარმეტყველებაში, იმის თქმა მინდოდა, რომ ის, რაც ხდება ჯანდარის ტბასთან, ამ საერთო მოვლენების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ესეც ერთ–ერთი მორიგი ზომბირებაა ჩვენი ქართული ცნობიერებისა, მეტადრე, ცრუ სასწაულებს დახარბებული ხალხისა, რომელსაც არანაირი სულიერი კრიტერიუმი არ გააჩნია. თუმცაღა, ბევრი მათგანი ტრადიციულად მართლმადიდებლობას აღიარებს, მაგრამ არსებითად მათ ჭეშმარიტებასა და მართლმადიდებლობაზე წარმოდგენა არა აქვთ. ძნელი არ არის, მივხვდეთ, ვისი მოწაფეა ეს გოგონა, მეტადრე

# (მინდიაშვილი): ხალხის ზომბირება, შედეგებს მოგვიტანს

იგი ცრუ წინასწარმეტყველის მუჰამედის რელიგიას მისდევს. დამაფიქრებელია ისიც, რომ იგი კრძალავს ექსკოპიაზე ნაყოფის განხილვას და იყო შემთხვევები, როგორც ჩემთვის ცნობილია, რომ ნაყოფი დაიშალა, როდესაც, მიუხედავად „მკურნალის" რჩევისა, ექსკოპიაზე იქნა განხილული. ფაქტიურად, ის მშობლები ხდებიან არა შვილის მშობლები, არამედ... და, რაღა თქმა უნდა, როცა გავა დრო და ის ბავშვები გაიზრდებიან, იქნებიან არა ჭეშმარიტების სულის მატარებელნი, არამედ მხეცის ბუნებისა და მხეცის საქმეების. რაც საბოლოოდ დიდ ზიანს მოუტანს სრულიად საქართველოს. მეტადრე, რომ ეს მხოლოდ ერთადერთი მოვლენა არ არის. ასევე ნადგურდება ქართული სული მწვალებლობისაგან. ე.წ. ეკუმენიზმისაგან, რომელთა შორის ყველაზე უფრო მძვინვარენი არიან ე.წ. იეღოვას მოწმეები. სხვათაშორის, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას შემდეგიც: როგორც მაცხოვარი მიმართავს მოციქულებს და მათი სახით ყველა სასულიერო პირს, თქვენა ხართ მარილი ამ ქვეყნისა, უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითა დაემარილო. დამარილების უნარი, ანუ ღვთის სიტყვის ქადაგების, პირადი ცხოვრებით ცოცხალი მაგალითის მიცემის შემთხვევები ნაკლებად არის ეკლესიაში, რა დასამალია. ჩვენთვის ცნობილი მოვლენების მერე ერთგვარად შეირყა ეკლესიის და სასულიერო პირების ავტორიტეტი. ამანაც განაპირობა ის, რომ ტრადიციულად მართლმადიდებელი, სინამდვილეში კი არამართლმადიდებელი ნაწილი ჩვენი ერისა აღმოჩნდა სხვადასხვა ცრუ რელიგიების, ხიბლების, ცრუ სასწაულების ტყვეობაში. უნდა ითქვას ისიც, რომ მართალია, ბოლო დროს გამრავლდა პატიოსანი, განსწავლული სულიერი მოძღვრების რიცხვი, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ჩვენს ეკლესიაში ისეთი მოძღვრები, რომლებიც ცდილობენ და ლამობენ ერთად ემსახურონ ქრისტესა და მამონას. პავლე მოციქული ამბობს, რომ ძირი ყოველგვარი ბოროტების არის ვერცხლისმოყვარეობა. ე.ი. ვერ ხედავენ ცოცხალ მაგალითს მოძღვარში, რომელიც აშკარად და ხშირად ფულის სიყვარულს დაუპყრია და მღვდელმოქმედება იმდენადაა მისთვის საინტერესო, რამდენადაც შემოსავლის წყაროდ გაუხდია. და ვიდრე ეს არ აღმოიფხვრება ჩვენს ეკლესიაში, მანამდე ხალხის განდევნა სხვადასხვა სექტებში გაგრძელდება. მეტადრე, უფალი გვასწავლის, რომ ორი უფლის მონება არ იქნება – ქრისტესი და მამონასი, ანუ ეშმაკისა. ან ერთს უფრო მეტად შეიყვარებს და მეორეს მოიძულებს, ან – პირუკუ. ვფიქრობ, ეკლესია დროთა განმავლობაში აღდგება და ამისი პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, შეწყდება აღებმიცემობა ქრისტეს სახელით და აღდგება შემოწირულობების ინსტიტუტი.

შეწირულობა კი არ არის ცოდვა, ანგარებით შეწირულობაა ცოდვა.

თქვენ ალბათ იცით, წმინდა მამების წინასწარმეტყველება. ბოლო დროს ტაძრებიც იქნება შემკული, ჯვარ-გუმბათებიც მოოქროვდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არ იქნება ამ ქრისტიანულ ტაძრებში – სული ჭეშმარიტების. ალბათ, ისიც ცნობილია თქვენთვის, რომ ანტიქრისტე როდესაც ისტორიულად გამეფდება, უბრძანებს, ყველა ხატი გაიტანონ ღვთისა და წმინდანებისა. მერე აღიმართება ანტიქრისტეს ხატი და მისი ცრუ წინასწარმეტყველისა. ე.ი. ადამიანები კერპთაყვანისმცემლობაში ჩავარდებიან აშკარად და ცხადად. ეს მწვალებლობაც სწორედ ამას ამზადებს. თქვენ იცით, რომ ხატმებრძოლობა ერთ-ერთი უძველესია და ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში გაჩნდა და დღეს ის ძალას იკრებს. ხოლო ე.წ. იეღოველობა თავის თავში ქრისტესთან დღემდე არსებული ყველა მწვალებლობის სხვადასხვა ნიშნებს ატარებს. იგი არის ქრისტეს მგმობელი, სულიწმინდის მგმობელი. უფალი კი დასძენს, ყველა ცოდვა მიგეტევებათ ადამიანებს, გარდა სულიწმინდის გმობისა. არის მტერი და მებრძოლი ეკლესიისა, და მე მინდა დაგეკითხოთ: რაღაც დარჩა სარწმუნოებიდან? ასე, თუ მეტყვით, რომ მამა ღმერთი სწამთ. მოციქული გიპასუხებთ და გამხილებთ ჯერ კიდევ 20 საუკუნის წინათ. ასე, ეშმაკსაც სწამს და არათუ მხოლოდ სწამს, არამედ ძრწის კიდეც. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის – ჭეშმარიტების მსახურება.

რაც შეეხება ჯანდარელ გოგონას, მე მაგონდება ასეთი ეპიზოდი წმინდა სახარებიდან, როდესაც „უფალმა განკურნა ეშმაკეული, არათუ ერთი, არამედ მთელი ლეგიონი, 6 ათასი დემონი იყო შესული. ჯერ მოვიგონოთ სახარების ეს ადგილი უფრო დაწვრილებით. როდესაც იესო ქრისტემ ის-ის იყო მოციქულებთან ერთად გადასცურა ტბა, შორს დალანდეს, რომ საფლავებიდან გამოდიოდა ორი ეშმაკეული, მათ შორის ერთი მათგანი განსაკუთრებული მძვინვარებით გამოირჩეოდა. როგორც სახარებაშია ნათქვამი, ტანსაცმელი ჩააცვეს, შეპბორკეს, მაგრამ დაიგლიჯა ბორკილები, რადგან დიდი ძალა იყო მასში და აკლდამებში და საფლავებში აღარ ათენებდა. უფალი სხვა ქადაგებაში იტყვის, არაწმინდა სული როდესაც გამოდის ადამიანიდან, მიმოდის უდაბურ ადგილებში, მაგრამ სასოწარკვეთილია, დაუწყნარებელი, ვერ პოულობს იქ განსვენებას და ფიქრობს კვლავ ადამიანში დაბრუნებაზე. ადამიანში, რომელიც შეპყრობილი ჰყავდა მას აქამდე. აი, როგორ ამბობს იგი: მივალ და შევალ სახლად ჩემდა, ე.ი. ადამიანის სხეული, რომელიც არის ტაძარი სულიწმინდისა, ეშმაკმა გაიხადა საკუთარ სახლად. საერთოდ, წმინდა მამები გვასწავლიან, რომ როდესაც ეშმაკი არ არის ადამიანის ან პირუტყვის გარსში, იგი საშინლად იტანჯება. ამიტომ ცდილობს, რომ ადამიანში შევიდეს. მაგრამ გვაგონდება, ალბათ, რომ ერთი ღერი თმა რა არის, ისიც კი არ ჩამოვარდება ადამიანს თავიდან უფლის ნების გარეშე. მაშ, მოდით, ვიკითხოთ, თუ ღორში შესვლის უფლებაც კი არა აქვს ეშმაკს, რაოდენ ბინძური ცხოველიც არის იგი, მაშ ადამიანში როგორ შედის. ადამიანში, რომელიც ხატი და მსგავსებაა ღვთისა. ამის კადნიერებას ეშმაკს ადამიანში ცოდვების სიმრავლე, სიღრმავე და რაც მთავარია, უნანელობა აძლევს. ალბათ, დასწრებიხართ ნათლისღებას. მღვდელი ვიდრე მონათლავს ადამიანს, უნდა შეპბეროს სული შუბლზედ, გულზედ და პირზე. რატომ მაინცდამაინც ამ ორგანოებზე და არა მუხლისთავზე ან თეძოზე? რაღა თქმა უნდა, ამით ცდილობს შეაძრწუნოს ეშმაკი, რომელიც ადამიანის ამ სამ ორგანოს არის დაუფლებული. რადგან ეშმაკი როდესაც ადამიანს იპყრობს, ცდილობს, დაიპყროს აზროვნების, ემოციების და მეტყველების ორგანოები. თუ ეს სამი ორგანო დაიპყრო ადამიანში, ადამიანი შეპყრობილია, რადგან ეს ორგანოები მართავენ მას.

მივუბრუნდეთ კვლავ გერგესელელ ეშმაკეულს. მაშ, საფლავიდან გამოდის და ამბობს: რატომ მოხვედით დროზე ადრე ჩემს სატანჯველად? ნება მოგვეცი, ღორების კოლტში შევიდე... მოდით, ვიკითხოთ, ვინ უხმობს ქრისტეს, ეშმაკეული ადამიანი? თუ ლეგეონი, რომელიც მასშია. იმ ადამიანს გონებაც კი არ ჰქონდა, არ იცნობდა ქრისტეს, რაღა თქმა უნდა, იგი ეშმაკობას მიმართავს, ქრისტეს რომ თავი შეაბრალოს, რადგან უწყის, რომ იგი ძე ღვთისაა და ჯოჯოხეთში სატანჯველად აგზავნის. აიძულებს ეშმაკეულს, რომ მუხლებში ჩაუვარდეს. თუმცა, თაყვანს სცემს არა ეშმაკი, რომელსაც არ ძალუძს ჭეშმარიტებას თაყვანი სცეს, არამედ თვითონ ადამიანი, და როდესაც უფალი დასტურით უპასუხებს, შეევედრება ლეგეონი, რომ შევიდეს იქვე დაახლოებით 2000 ღორისაგან შემდგარ კოლტში. უფალი ამის უფლებას მისცემს და ამის შემდეგ მეყსეულად ტოვებენ ეშმაკეულ ადამიანს, რომელსაც შემდეგ სრულიად ჯანსაღს იხილავენ ქრისტეს ფერხთით, შედიან ღორების კოლტში, განაცოფებენ მათ და გადასჩეხავენ ზღვაში. აქედანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეშმაკეული იყო, რამდენად დიდი ძალა იყო მასში, რომ რასაც უძლებდა ერთი ადამიანი, ვერ გაუძლო ორი ათასმა პირუტყვმა. ეს მაგალითი ჩვენთვის იმდენად არის კიდევ საინტერესო, გავარკვიოთ, რატომ ხდება მხეცი ადამიანების ჩასახვა იმ ადამიანებში, რომლებიც მიდიან ამ მაჰმადიან გოგონასთან.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოება ჰყავის, ასეთ ადამიანებს, ასეთ გრძნეულებს, როგორც ეს გოგოა, უკრძალავდნენ მოსახლეობასთან შეხებას. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და არა კათოლიკები. ინკვიზიციას მათ ვერ ჩავუტარებთ. მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა დასრულდეს ამ ხალხის ზომბირება, რადგან კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მომავალში საშინელ შედეგებს მოგვიტანს.

– გმადლობთ.

ესაუბრა
ლელა კოდალაშვილი

## ქრონიკა

### საქართველოს ციხეებში შიმშილობა გამოაცხადა 50-მდე სიკვდილმისჯილმა

საგენტოს კორესპონდენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ 26 ნოემბერს, დილით, საქართველოს ციხეებში შიმშილობა გამოაცხადა 50-მდე სიკვდილმისჯილმა პატიმარმა, რომელთაც სასჯელის უმაღლესი და განსაკუთრებული ზომა – სიკვდილი – მიესაჯათ 1991-1996 წლებში. ისინი აცხადებენ, რომ უწევთ აუტანელ პირობებში ყოფნა და მოითხოვენ პირობების გაუმჯობესებას. რამდენიმე დამკვირვებლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, ეს შიმშილობა, გარკვეულწილად, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ საქართველოს პარლამენტი იხილავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხს.

იბერია

### საქართველოს პარლამენტის იურიდიული და საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარე მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას საქართველოში

საგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის იურიდიული და საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, რომ იგი მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას საქართველოში, ვინაიდან კონტინენტური ევროპის ყველა სახელმწიფომ გააუქმა ეს ბარბაროსული სასჯელი, რომელიც ვერ აშინებს მკვლელს და რომელიც მძიმე დაღს ასვამს საზოგადოებრივ ცნობიერებას. მიხეილ სააკაშვილის აზრით, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია სიკვდილით დასჯის გაუქმება სიკვდილმისჯილთა უმრავლესობისათვის, მაგრამ პერსპექტივაში, მისი თქმით, სიკვდილით დასჯა მთლიანად უნდა გაუქმდეს ჩვენს ქვეყანაში, როგორც სასჯელის უმაღლესი და საგანგებო ზომა.

იბერია

### საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაასრულა პროცესი კახეთის «მხედრიონის» წევრთა წინააღმდეგ

საგენტოს კორესპონდენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან აცნობეს, რომ 26 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაასრულა სასამართლო პროცესი ე.წ. კახეთის „მხედრიონის" უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი ედებათ ბანდიტიზმში, ადამიანის გატაცებაში, ყაჩაღობაში, მკვლელობებში და სხვა მძიმე ხასიათის დანაშაულთა ჩადენაში. კახეთის „მხედრიონის" წევრებს მიესაჯათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა – 8-დან 15 წლამდე, ხოლო კახეთის „ მხედრიონის" უფროსს – დავით ოტიაშვილს, ე.წ. მაჭახელას, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი და განსაკუთრებული ზომა – სიკვდილი – ორი ადამიანის განზრახ მკვლელობისათვის.

იბერია

ბიბლიოთეკა

მართალია ლოთი ქობალიას სასამართლო პროცესი დამთავრდა, მაგრამ ამ პროცესისადმი ინტერესი არ განელებულა. ვბეჭდავთ ინტერვიუს მის ადვოკატთან ქ-ნ თამარ ლომიშვილთან. ასევე, როგორც წინა ნომერში დაგპირდით, ვიწყებთ პუბლიკაციებს ლ.ქობალიას სისხლის სამართლის საქმიდან.

განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია.

## თამარ ლომიშვილი: ლოთი ქობალიას არანაირად არ მისცეს აფხაზეთში ბრძოლის საშუალება...

– როგორ შეაფასებთ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს?

– სასამართლო იმდენად არასამართლიანი იყო, რომ მის კანონიერებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სულაც არ არის საჭირო დანაშაულის ჩადენა, თუ ვინმეს სამიზნეს წარმოადგენ. საჭიროა მხოლოდ ძალა და თანამდებობა და მიზანსაც მიაღწევ. ლოთი ქობალიას მიმართ სასიკვდილო განაჩენი არის მხოლოდ და მხოლოდ შურისძიება არა მარტო ლოთის, არამედ ეროვნული ხელისუფლების მიმართაც. პროკურატურამ შეგვახსენა, რომ „ძალა აღმართს ხნავს“. ეს განაჩენი გახლავთ ფსიქოლოგიური ტერორი არა მხოლოდ ლოთის, არამედ ყოველი ქართველის მიმართ. ამით იმის თქმა არ მსურს, თითქოს პროკურატურა ან სასამართლო წყვეტდა განაჩენის სიმძიმეს. ეს ყოველივე უფრო ზემოდან მოდის... ლოთი ქობალიამ, ჯამბულ ბოკუჩავამ, ზვიად ძიძიგურმა და ნუგზარ მოლოდინაშვილმა ფაქტიურად გაასამართლეს დღევანდელი ხელისუფლება, თუმცა ისინი ამ ხელისუფლების ტყვეები არიან. მათ დაამარცხეს დღევანდელი ხელისუფლება ამ სასამართლომ გააშიშვლა დღევანდელი რეჟიმი.

– განაჩენის შემდეგ პროკურატურაში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ფაქტები სავსებით დადასტურებულად მიიჩნიეს...

– პროკურატურის მიერ ზედიზედ მოწვეული პრესკონფერენციები თავის მართლების მცდელობაა მხოლოდ, რადგან ბრალდების მხარემ ვერ დაადასტურა ლოთი ქობალიას დანაშაულებანი. პროკურატურამ თავისი უბადრუკობა მაშინ გამოავლინა, როცა ფსიქიურად ავადმყოფი, დალტონიკი და დაშინებული, ტერორიზებული მოწმეები წარმოადგინა. მათი ჩვენებები სასამართლოს რომ არ გაეთვალისწინებინა, როგორღა დასჯიდნენ ქობალიას? როგორ არ ეცადა პროკურატურა, რომ მის მიერ შეთხზული საქმის საშუალებით შეექმნა საზოგადოებრივი უარყოფითი აზრი ლოთი ქობალიასა და სხვათა მიმართ. ვერა და ვერ მიაღწია მიზანს. მოხდა კი პირიქით. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყეს იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც ობიექტურად ასახავდნენ სასამართლო პროცესს. პრესამ გაუძლო ზეწოლას პროკურატურისა და სასამართლოსაგან.

რატომღაც პროკურატურასა და სასამართლოს ჰგონია, რომ გარკვეული მასალების გამოქვეყნებით ამოვწურეთ ხელთარსებული მამხილებელი დოკუმენტაცია. დაველოდებით მათგან გამოწვევას და... საერთოდ, პროკურატურამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა პრესას დაუპირისპირდა და ცილი დასწამა. ცილისწამება კი სავარძლისა და ტყავის გადასარჩენად სჭირდება.

მაინც და მაინც 104 მუხლის საფუძველზე (განზრახ მკვლელობები) იმიტომ გამოუტანეს ლოთის სასჯელის უმაღლესი ზომა, რომ როგორმე შექმნან მისგან მკვლელის სახე. ამ მიზანს ისევე მიაღწევენ, როგორც ქობალიას სამშობლოს მოღალატეობა თუ ბანდიტიზმის ბრალდება დააჯერეს ხალხს.

პროკურატურამ და სასამართლომ პასუხი უნდა აგონ უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვა-წამებისა და მათ მიმართ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის. დარწმუნებული ვარ, ქობალიასა და სხვათა მიმართ ს.ს.საქმე ბუმერანგივით შემოუბრუნდება დღევანდელ რეჟიმს და მის მსახურებს – პროკურატურასა და სასამართლოს!..

– რაც შეეხება ქობალიას დადანაშაულებას სამშობლოს ღალატში...

– ეროვნული გვარდიის არქივიდან წარმოგიდგენთ შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ გ.ლაკიას რამდენიმე წერილს. აი, რა აცნობა მან სარდალ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას 1993 წლის 17 ივლისს:

„ჩვენი მდგომარეობა არ არის სახარბიელო. შონიას ხალხის მიერ პოზიციის დატოვების შემდეგ შეიქმნა საშიშროება მტრის მიერ ზურგში დარტყმისა. მას შეუძლია პატარა ძალით დიდი ზიანი მოგვაყენოს. ჩვენი გვარდიელები ძლიერ გადაღლილები არიან. მარჯვენა მხარისათვის და ზურგში მოსალოდნელი დარტყმის მოსაგერიებლად არ გვყოფნის ცოცხალი ძალაც. გადაღლილ, სველ და გათიშულ მებრძოლებს უჭირთ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოთაღნიშნული და მაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ“.

იბადება ლოგიკური კითხვა: რა მიზნით ან ვისი ბრძანებით დატოვა ვინმე შონიამ პოზიციები და შეატოვა რუსეთის ჯარს ძალადაცლილი ეროვნული გვარდიის მებრძოლები? უკიდურეს შემთხვევაშიც კი, ჰქონდა მას ამის უფლება მანამ, სანამ იგი არ შეცვალა სხვა ძალამ?

და აქვე P.S.- ით მიანიშნებს პოლკოვნიკი გ.ლაკია სარდალ ლოთი ქობალიას: „ასევე მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოჩამჩირის შტაბი გეგმავს ოპერაციას, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია...“ ე.ი. ქობალიას წინ იდგა რუსეთის არმია, ზურგსა და მარჯვენა მხარეს არანაირი ძალა არ უმაგრებდა. მისი ალყაში მოქცევით კი შეიძლებოდა მისი განადგურება. განა საეჭვო დამთხვევა არ არის შონიას მიერ პოზიციების დატოვება და ოჩამჩირის შტაბის არასახარბიელო გეგმა?

დიახ, ლოთი ქობალიას არანაირად არ მისცეს აფხაზეთში ბრძოლის საშუალება, რადგან მის მიერ აფხაზეთის დაბრუნებას უცილობლად მოჰყვებოდა დამხობილი ეროვნული ხელისუფლების აღდგენა. ამას კი არაფრით არ დაუშვებდა ფაქტობრივი ხელისუფლება, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ქობალიას მდგომარეობის გაზიარება მოუწევდათ და არა მხოლოდ ამისათვის გასწირა ფაქტობრივმა ხელისუფლებამ აფხაზეთი...

ესაუბრა
ბუბაზ მებრეიძე

## ლოთი ქობალია: „სტიჩკინის“ კონსტრუქციის პისტოლეტი ვაჩუქე ა.აბაშიძეს

### ლ.ქობალიას I დაკითხვის ოქმი 19 ივლისი, 1994 წ.

ჩემთვის წარმოდგენილი მასალების შინაარსი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65, 78, 96, 133 მუხ, 209, 240 მუხ. მე-3 ნაწ, 100 მუხ. მე-3 ნაწ, 157 მუხ. მე-2 ნაწ, 104 მუხ. I. III, IV, VI, VII, IX პუნქტებით ჩემთვის გასაგებია, მაგრამ მასში თავს დამნაშავედ ვცნობ მხოლოდ ნაწილობრივ. 1990 წელს შევედი ჰელსინკის კავშირის ზუგდიდის რეგიონალურ განყოფილებაში. 1991 წლის შემოდგომაზე საქ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ დამნიშნა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად, ხოლო მანამდე ვიყავი ზუგდიდის №11 ბატალიონის მეთაური, რომელიც შეიქმნა სამაჩაბლოში, შემდეგ დამნიშნეს გვარდიის დასავლეთ საქართველოს პოლკის მეთაურად. შემდეგ ვიყავი გვარდიის სპეცდანიშნულების ათასეულის მეთაურად, ხოლო სასამართლოს უფროსად დანიშვნის შემდეგ მომანიჭეს პოლკოვნიკის წოდება. 1991 წლის 23 დეკემბერს დილის 06 საათზე დამჭრეს ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე უზენაესი საბჭოს წინ, მთავარ შესასვლელთან კიბეებზე. მიღებული მქონდა 5 მძიმე ჭრილობა. ორივე ქვედა კიდურის, მარცხენა მკლავის და წელსქვემოთ არეში გონს მოვედი შსს საავადმყოფოში, საიდანაც 29 დეკემბერს გამომიყვანა ჩემმა მოადგილემ გუჯარი ყურაშვილმა და წამიყვანა ზუგდიდში, სადაც ჩავედით 1991 წლის 30 დეკემბერს. დამსხვრეული მქონდა მარცხენა ბარძაყის ძვლები, რის გამო ვიწექი ჯერ სახლში სოფ. ოდიშში, შემდეგ კი გადამიყვანეს ქ.სოხუმში ჩემი დის ნანული ქობალია-პაპასკირის სახლში. სოხუმში გ.ყარყარაშვილის შემოსვლის შემდეგ, 1992 წლის თებერვალში გადამიყვანეს სოხუმის რაიონის სოფ. თავისუფლებაში, ჩემი ცოლის ძმის ფრიდონ ხორავას სახლში, სადაც ვიწექი კარგა ხანს. 1992 წ. 9 მარტს ზუგდიდის შს სამმართველოსა და სასტუმრო „ეგრისზე“ ბანდიტური თავდასხმა მე არ მომიწყვია. ამ დროს მძიმედ დაჭრილი ვიყავი, რის გამოც ამ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ვცნობ. რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რომ აღნიშნული თავდასხმის დროს მოუკლავთ ჩემი თანაკლასელი, პოლიციის ოფიცერი ჯ.ქოჩუა. რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტზე თავდასხმების ორგანიზაცია მე არ გამიკეთებია. სამთავრობო ტვირთები და შეიარაღება არ გამიტაცია, რის გამო არც ამ ეპიზოდში არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

1992 წლის 6 ივლისს დაბა წალენჯიხაზე მხედრიონის შენაერთზე თავდასხმა მე არ მომიწყვია, რის გამოც არც აღნიშნულ ეპიზოდში არ ვცნობ თავს დამნაშავედ. მხედრიონზე მოწყობილი თავდასხმის შესახებ მე გავიგე ზუგდიდში მეორე დღეს. თავდასხმა მე არ მომიწყვია. სოხუმის დაცემის დღეებში, 1993 წ. სექტემბერში ოჩამჩირეში სტადიონზე დამხვდა ყვითელი ვერტმფრენი. თავდაცვის სამინისტროს შტაბში ვთხოვე ვერტმფრენი სენაკიდან მეომრების გადმოსაყვანად. ოჩამჩირედან გადავფრინდი სენაკში. ჩამოვიყვანე კვლავ ოჩამჩირეში და ამ დროს სტადიონზე დამხვდა გია გულუა ჩემთვის უცნობ პირებთან ერთად. გ.გულუამ მითხრა, რომ მოდიოდა სოხუმიდან და დაღლილი იყო. მე წინადადება მივეცი გ.გულუას, რომ წამოსულიყო ჩემთან ერთად სოხუმისკენ კოდორზე საბრძოლველად. გ.გულუა არ გამომყვა. მე წამოვედი კოდორის მიმართულებით. გ.გულუას დაკავების ამბავი გავიგე ზუგდიდში დაბრუნების შემდეგ, რაც შემატყობინა რობინზონ მარგველანმა. მე და გრიშა ქობალია პირველად ერთად მივედით ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორში გ.გულუას სანახავად. მე ვუსაყვედურე გ.გულუას, რომ ჩემთან წამოვიდა ოჩამჩირედან. მეორედ გ.გულუა საპატიმროში ვინახულეთ მე და ზაურ ქობალიამ. ჩვენს გარდა გ.გულუასთან დასაკითხად მიდიოდნენ პროკურორი კოტე ფირცხალავა და ნუგზარ მოლოდინაშვილი. ზ.ქობალია იყო დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც გ.გულუას უსაყვედურა ძველი ამბავი, კერძოდ, მარნეულიდან და ჩიტაძის ქუჩიდან იარაღის გატაცება. გ.გულუას გაქცევის შემდეგ შემატყობინეს, რომ ზუგდიდის ციხე იყო გატეხილი, ხოლო გულუა და სხვა პატიმრები გაქცეულები ყოფილან. მე, ჯამბულ ბოკუჩავა და ოპერატიული ჯგუფი მივედით ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორში, სადაც თანამშრომლები და საკომენდანტო ჯგუფის წევრები ჩვენს მოსაჩვენებლად საკნებში დაგვხვდნენ. მე აღვშფოთდი და პისტოლეტით ფეხებში დავცხრილე, ვინც კი დამხვდა საკანში. დაჭრილების დასახმარებლად გამოვუძახე ექიმებს. ამის შემდეგ მივედი სოფ. ოდიშში ჩემს სახლში, სადაც იმ დროს ცხოვრობდა ექსპრეზიდენტი ზ.გამსახურდია, რომელმაც გამლანძღა გ.გულუას გაქცევის გამო.

ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორში დაცვის მუშაკებისა და ტყვე მეომრების დაჭრაში თავს დამნაშავედ მთლიანად ვცნობ. მათი მკვლელობა არ მქონია განზრახული და არც ერთი მათგანი არ მომიკლავს. აღნიშნული პირები დავჭერი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით. მქონდა „სტიჩკინის“ კონსტრუქციის პისტოლეტიც, რაც ვაჩუქე ა.აბაშიძეს, მაგრამ როდის, აღარ მახსოვს.

სამშობლოს ღალატი არ ჩამიდენია. 1993 წ. შემოდგომაზე სამთავრობო ჯარებისათვის სოხუმისკენ მიმავალი გზები არ ჩამიკეტია და მეომრების მსვლელობისთვის დაბრკოლებები არ შემიქმნია. მართალია, ჩემმა მეომრებმა დაიკავეს დასავლეთ საქართველოს რეგიონში ზუგდიდი, ხობი, სენაკი, ფოთი, მარტვილი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, აბაშა, სამტრედია, ხონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი და შესაბამისი რაიონები, მაგრამ ეს ჩავიდინეთ იმ მოსაზრებით, რათა შეჭერებულიყავით ცხენისწყალზე და მიგვეღწია ახალი არჩევნების ჩატარებისათვის. სამტრედიისა და ხონის დაკავება ჩვენი შტაბის შემუშავებულ გეგმაში არ შედიოდა. ჩემი შტაბის უფროსი იყო გურამ ლაკია. მყავდა ორი მოადგილე: ჯამბულ ბოკუჩავა ოპერატიული სამსახურის უფროსად და ოთარ უბილავა – პირველ მოადგილედ. ჩემი შენაერთი იწოდებოდა საქართველოს ეროვნულ გვარდიად. მასში გაერთიანებული იყო სამი პოლკი, აფხაზეთის პოლკის მეთაურად იყო მაიორი სოსო ჯომიდავა.

ამ პოლკში იქნებოდა 1500–2000 მებრძოლი. ზუგდიდის პოლკში იყო 2000–2500 მებრძოლი, მეთაური იყო მაიორი ბადრი ზარანდია. იმერეთ-გურიის პოლკის მეთაური იყო სოსო ელენტი. მას ჰყავდა 400–500 კაცამდე თითოეულ პოლკში იყო სხვადასხვა რაოდენობის ბატალიონები. მათი უფროსები იყვნენ: გორის – რამაზიშვილი, ახალციხის – რომან ძიძიგური, ბათუმის – ტრისტანი, ჰქონდა მეგრული გვარი. ცალკეული ჯგუფების მეთაურების გვარები არ მახსოვს.

მატერიალური უზრუნველყოფა ორგანიზებული იყო შემდეგნაირად. მოსახლეობისაგან ვიღებდით შემოწირულობებს ფულითა და ნატურით, რომლის აღრიცხვას აწარმოებდა ბუღალტერია, რაც განლაგებული იყო ზუგდიდში გვარდიის შენობაში. გვეხმარებოდა სამეგრელოს აღორძინების ფონდი, რომლის თავმჯდომარე იყო სოსო ლაგვილავა. გვარდიის სამმართველოს აპარატი ღებულობდა ხელფასს, პოლკისა და ბატალიონების მეთაურები უხელფასოდ იყვნენ. ჩვენს გვარდიას ჰქონდა შეიარაღება ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ყუმბართმტყორცნები, მუხები, ხელყუმბარები, არტილერია, ნურსები, გრადები. აფხაზეთიდან გამოქცეულ ნაწილებს ჩამოვართვით ტანკები, ბმპ და ბეტეერები. ზუგდიდში გავაჩერებთ აფხაზეთიდან გამოშვებული სატანკო ჭურვებით დატვირთული ვაგონები. თვითმფრინავები ან ვერტმფრენები არ გვქონდა. საწვავი შემოჰქონდათ კერძო კომერსანტებს, გარკვეული რეზერვი იყო ზუგდიდში. გარდა ამისა, აფხაზეთისაკენ გაგზავნილ ყოველ ცისტერნაზე სოხუმიდან გვიგზავნიდნენ თითო მანქანა ბენზინს.

ჩვენების შევსება ან შესწორება არა მსურს. დაკითხვის ოქმი წავიკითხე, ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვების მიხედვით, სწორია ვადასტურებ.

(გაგრძელება იქნება)

# ჯორჯ სოროსი: „იმდენ ფულს ვშოულობ, რომ თავზარი მეცემა..."



„ექსპრესი" – ჯორჯ სოროს, თქვენ ერთდროულად ბრძანდებით მილიარდერი, ამერიკელი, უნგრული წარმოშობის ებრაელი, ფილანტროპი და მორალისტი. მეტისმეტი ხომ არ არის?

ჯორჯ სოროსი: სრულიადაც არა; ყოველივე ეს ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ადამიანის ხასიათი წინააღმდეგობრივი და რთულია. მე მთელი სიცოცხლე მოვანდომე იმას, რომ ჩემი ხასიათის განსხვავებული თვისებებისათვის ერთიანი სახე მიმეცა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ყველა ეს, ერთი შეხედვით ურთიერთდაპირისპირებული თვისებები თუ ასპექტები, საერთო განზომილებაზე დამეყვანა, მათი „ინტეგრაცია" მომეხდინა. ვიმედოვნებ, სამოცი წლის მანძილზე, ამ მიზანს მივაღწიე.

„ექსპრესი": თქვენ ხშირად „ბირჟაზე მოთამაშე კაცსაც" გიწოდებენ. იღებთ თუ არა ამ ტიტულს?

ჯ.ს. როდესაც ოქსფორდის უნივერსიტეტმა „საპატიო დოქტორის" (honoris causa) დიპლომი გადმომცა, საპასუხო სიტყვაში განვაცხადე, რომ ვარ „ფინანსისტი, ბირჟაზე მოთამაშე, ფილოსოფოსი და ფილანტროპი". ოქსფორდში ჩემი ეს განცხადება ცოტაოდენ ექსცენტრიკულად მიიჩნიეს.

„ექსპრესი": საფრანგეთში თქვენ „ლონდონელ ჯუჯას" გიწოდებენ. ხომ არ გგონიათ, რომ „ბირჟის სპეკულანტებს" შეუძლიათ მოახდინონ დემოკრატიის დესტაბილიზაცია.

ჯ.ს.: უპირველეს ყოვლისა, ჩემი ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს და არა ლონდონში. თუმცა, მოდით, ჩავთვალოთ, რომ თქვენი პრემიერ-მინისტრის შეფასება („ლონდონელი ჯუჯა") მიესადაგება ჩემს მოღვაწეობას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ინვესტიციებსა და ფულზე სპეკულაციას. რაც არ უნდა სახელით მოგვნათლონ, ცხადი ერთია: ჩვენ არ ვმართავთ მსოფლიოს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი გავლენა გვაქვს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე. თუკი ჩემისთანა ადამიანებს ძალუძთ ძირი გამოუთხარონ რომელიმე მთავრობას, ჩათვალეთ, რომ ამაში თვით სახელმწიფოს სისტემაა დამნაშავე!

რა თქმა უნდა, ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა ღია საზოგადოებისათვის გარკვეულ მუქარას წარმოადგენს. მაგრამ კიდევ უფრო მეტი უბედურების მომტანია ფინანსური ბაზრის არარსებობა. თუ არ არსებობს ასეთი ბაზარი, არ არსებობს თვით ღია საზოგადოებაც. პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება გამუდმებულ კონტროლს ითხოვს და ბაზარი სწორედ ამ კონტროლს ახორციელებს... და დიდი წარმატებითაც. ამიტომაც, მე ჯიუტად ვიმეორებ: საჭიროა ბაზრის რაც შეიძლება კარგად ორგანიზება. ბაზრის წინააღმდეგ ბრძოლა დამღუპველია.

„ექსპრესი": წარმოიდგინეთ მდგომარეობა უმუშევარისა, რომელიც ტელევიზიით უცქერის თქვენს ინტერვიუს. საკუთარ აუზში ნებიერად მოცურავე მილიარდერი რეცეპტებს უხვად არიგებს და არაფრად დაგიდევს იმას, რომ ამ „ეკონომიკურმა სანქციებმა" შეიძლება, კიდევ მეტად აუტანელი გახადოს ისედაც გაღატაკებული ადამიანების არსებობა პლანეტის რომელიმე კუთხეში.

ჯ.ს.: ნება მომეცით შეგეკამათოთ. ის, რაც შეიძლება მოგვეჩვენოს სავალალოდ და ეს მართლაც ასეა იმ სიმბოლური უმუშევრის შემთხვევაში, რომელიც თქვენ ეს-ეს არის ახსენეთ, არის იმ ფაქტის არსებობა, რომ თქვენი უმუშევარი სიდუხჭირეს განიცდის, მაშინ როცა მის გვერდით სხვები უამრავ ფულს ფლობენ.

აქ ჩვენ მივადექით უთანასწორობის პრობლემას. რას იზამ! ამ საკითხს „ფულის მკეთებელთა" განადგურება ვერაფერს უშველის. ეს ნაცადი ხერხია. რაც ამას მოყვა, კომუნისტური ქვეყნების გამოცდილებამ დაგვანახა.

რაც შეეხება ჩემს აუზში ნებივრობას, მართლაც შევცდი, როდესაც ასეთ ვითარებაში დავთანხმდი ინტერვიუზე. ფრანგი ჟურნალისტი შეეცადა დამამცირებელი და კარიკატურული იერით წარმოვედგინე მაყურებლისთვის.

მაგრამ მე მეორე შეცდომაც დავუშვი: საქმოსანმა საქმე უნდა აკეთოს და იყუჩოს. მე კი ავლაპარაკდი და ჩემს როლს გადავუხვიე. ერთს კი მივხვდი: როცა არ გეკითხებიან, ჯობს ერთხელ არ დაძრა. ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის.

„ექსპრესი": თვით ცნება „ბირჟაზე მოთამაშე" ბევრში უარყოფით განწყობას ბადებს.

ჯ.ს.: ადამიანები ფიქრობენ, რომ ბირჟის საქმოსნები სინდისგარეცხილი ავანტიურისტები არიან. მაგრამ ასე არ არის. პროფესიული „სპეკულანტები" ზედმიწევნით იცავენ თამაშის წესებს. პირადად მე ვერავითარ სინდისის ქენჯნას ვერ ვგრძნობ. „ბირჟავიკების" გმობა ნიშნავს თავი წააჭრა მაცნეს, რომელმაც ცუდი ამბავი მოგიტანა. რა შუაშია მაცნე? თუკი ვინმეა სადანაშაულო, აგერ პოლიტიკური მოღვაწენი და ვაიეკონომისტები, რომლებიც არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ. თუკი ბირჟა „ცუდ ამბავს გვამცნობს", ეს პოლიტიკოსების მარცხს უნდა დავაბრალოთ. პოლიტიკოსები კი ცდილობენ ყოველივე ბირჟას გადააბრალონ. როდესაც მე ბირჟაზე სპეკულაციას ვეწევი, საზოგადოებრივ ინტერესებზე არ ვფიქრობ. მე ჩემი პირადი ბედი და საქმე მაღელვებს, ჩემსა და ჩემი აქციონერების მოგებაზე ვარ გადაგებული. სხვაგვარად რომ მოვიქცე, ვერც ესოდენ ვეებერთელა ფონდს მოვუვლი და არც არვინ მენდობა საკუთარ ფულს.

„ექსპრესი": ესე იგი, მიზანი ამართლებს საშუალებებს?

ჯ.ს.: საშუალებანი ზუსტად უნდა იყოს გათვლილი და განსაზღვრული. მე არვის ვკლავ და ვძარცვავ. მე კანონის ფარგლებში ვმოქმედებ. რა თქმა უნდა, ყველა საშუალებებს ვიყენებ და ვსარგებლობ ფინანსური ბაზრის შესაძლებლობებით. სამაგიეროდ, ხშირად თავზარს მცემს მოგებული ფულის რაოდენობა და ამიტომაც, მოგების ნახევარს ფილანტროპიულ საქმიანობაში ვდებ. იმიტომ კი არა, რომ რაღაც ცოდვის გამოსყიდვას ვცდილობ ან თავს დამნაშავედ ვთვლი. სრულიადაც არა, მე „გახსნილი საზოგადოების" ინტერესებს ვემსახურები. ასე რომ არ იყოს, ვფიქრობ, გამიჭირდებოდა ერთ კაცს ამდენი სიმდიდრის მოვლა და მოხმარება. დღეს კი ჩემმა ფონდმა რომ იარსებოს, მე არაფერი დამრჩენია, თუ არა ისევ და ისევ გავაგრძელო ფულის კეთება...

(„ექსპრესი", 30 ოქტომბერი, 1996)

თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

# ქართული სოფელი შავშეთში

სოფ. ჩაღლაიანი შავიზღვისპირა რაიონის უკიდურეს აღმოსავლეთშია. იგი ართვინის ილის[1] შავშეთის ილჩეზე[2] გადაბმული. მეიდანჯიქის (იმერხევი) ბუჯაღის[3] საზღვრებში არის მოქცეული. მოსახლეობა, სოფლის გარეთ მცხოვრებლების ჩათვლით, 1100 კაცამდეა. ილჩეს ცენტრი – შავშეთი არდაანს 50 კმ-ზეა დაშორებული. ჩვენი ილჩეს საზღვრები ჩრდილოეთით საქართველოს საზღვრებს ებჯინება.

ართვინი და მისი შემოგარენი, როგორც ცნობილია, XVI საუკუნეში იავუზ სულთან სელიმის მიერ იქნა ოსმალეთის იმპერიას მიერთებული; შემდგომ კი უთვალავი ბრძოლების არენად იყო ქცეული; დროდადრო ის ოსმალეთისა და რუსეთის ხელისუფალთ შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ, 1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოექცა.

არავინ უწყის, თუ როდის აშენდა და დასახლდა სოფელი ჩაღლაიანი. უდავოა, რომ ძალიან ძველ დასახლებულ პუნქტთან გვაქვს საქმე. გადაჭრით უნდა ითქვას, დღეს იქ მაცხოვრებელი ქართულად მეტყველი ხალხი სწორედ იქაური მკვიდრი მოსახლეობაა. ჩაღლაიანში მდგარი ორი ისტორიული ძეგლი უცილობლად ადასტურებს მოსაზრებას, რომ ის უძველესი დასახლებაა. როდის და ვის მიერ იქნა აშენებული აქ ქვის მეჩეთი, არავინ უწყის; გადმოცემის თანახმად, ძალზე ძველად ის ეკლესია ყოფილა თურმე. ამას გარდა, ჩვენი სოფლის დასავლეთით, სოფელ მადენჯოის გზაზე, ერთი ძველისძველი ციხე-სიმაგრე დგას. ისიც შეუვალი სინამდვილეა, რომ ჩვენი სოფლის მკვიდრნი ძველთაგან ქრისტიანი ქართველები ყოფილან, ხოლო შემდეგ, როდესაც ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მოქცეულან, გამუსულმანებულან.

სოფელი ჩაღლაიანი, რომლის ცენტრია ჯამის (მეჩეთი) უბანი, შედგება კიდევ სხვა შვიდი უბნისაგან; ცენტრიდან 5-სა და 45 წუთს შორის მერყევ მანძილზე არიან ისინი და სოფელს გარს ეტყმიან (სულ ერთიანად რვა უბანია). სოფლის ცენტრი განლაგებულია ორ დამრეც ხევს შუა; ზედა ნაწილში, ტყის პირებზე, სახლებია ჩამწკრივებული; სახლების წინ მიწის ნაკვეთები დაბლა ეშვება. სხვა უბნები კი ხეობების წყაროთა მხარეებზე – მომაღლო ადგილებზეა შეფენილი და ამ ხეობათა მოპირდაპირე დამრეცებზე იკიდებენ ფეხს.

ნაძვის, სოჭის, ფიჭვის ტყეებით გარშემორტყმული ჩვენი სოფლის ზედა მხარე, ოდენ მაღალი კლდეებით, შიშველი მთებითა და ბორცვებით არის შემორაგული. სოფელში ზამთრობით ბევრი ნალექი მოდის და ნოემბრიდან აპრილამდე თოვლითაა დაფარული.

სოფელ ჩაღლაიანის მკვიდრნი, უმთავრესად, სოფლის მეურნეობასა და მესაქონლეობას მისდევენ. სოფელი ზღვის დონიდან 1300-1600 მეტრის ფარგლებშია. სოფელი მეტად მდიდარია სასმელი და სარწყავი წყლებით; ასევე გამოირჩევა ტყეთა სიუხვით. მართალია, ოცი წლის წინ იქ ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი ითესებოდა, მაგრამ დღეს მინდვრების უმეტესი ნაწილი საძოვრებადაა ქცეული. 1960 წლიდან დაწყებულმა ინდუსტრიალიზაციამ და ამის პარალელურად სოფლებიდან დიდი ქალაქებისაკენ მოსახლეობის ლტოლვამ, თანდათან უფრო აჩქარებული ხასიათი მიიღო და შედეგად ჩვენი სოფლის ზოგიერთი სახლის კარი სამუდამოდ ჩაირაზა. სახლებში, რომელთა კარები ჯერ კიდევ არაა გამოკეტილი, მოხუცებიღა ფუსფუსებენ.

სოფლის კომლთა რაოდენობა 105-ია, ხოლო მოსახლეობისა 1100; ამ მოსახლეობის დაახლოებით 800 კაცი სოფლის გარეთ არის გასული; დაახლოებით 300 კი სოფელში ცხოვრობს. მოარულნი ზაფხულობით ჩამოდიან სოფლად და მაშინ მოსახლეთა რიცხვი მატულობს. რესპუბლიკის პერიოდში 30-ზე მეტი ოჯახი სხვადასხვა ილებში გადასახლდა და სოფელთან კავშირი მთლიანად გაწყვიტა. განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის დროს ე.წ. „93 ომში" ბევრი ოჯახი თოქათ-ნიქსარი სოფლებში (სორჰუნ, ოსმანიე, უსტაპასან-ში) და ერბაანის (სოფ. ჩუმელიში) დასახლდა. ჩვენი მოხეტიალე მოსახლეობის ყველაზე მეტი ნაწილი ქოჯაელის, შემდეგ სტამბოლის, ანკარის, ბურსის, საქარიას, სამსუნისა და ტრაპიზონის ილებში გადასახლდა.

სოფ. ჩაღლაიანში ძველთაგანვე მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევდნენ. ამასთან, თხა და ცხვარიც გააჩნდათ; დღეს კი, მოსახლეობის შემცირებისა გამო, მხოლოდ მესაქონლეობას ეწევიან და ისიც მცირე ოდენობით. გლეხის შემოსავლის წყარო, რომლითაც თავს ირჩენს იგი, შემოდგომიდან შემოდგომამდე ორი-სამი გაყიდული საქონლის ფასია; უმრავლესობა კი ოჯახში შემოსული სხვადასხვა ფულადი წყალობით (დაზღვევა, სიბერე, ხეიბრობა, პენსია) არის. დღეს იმ მინდვრებზე, რომლებიც ჯერ კიდევ საძოვრებად არ არიან ქცეული, მცირე ოდენობით ითესება სიმინდი, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო და სხვა ბოსტნეული. პამიდორი მხოლოდ სოფლის ქვედა უბნებში მოჰყავთ და ისიც ოქტომბრის თვეშიც ვერ ასწრებს მოწევას. სოფელში მცირე ოდენობით მოჰყავთ ყურძენი, კაკალი, თუთა, ბალი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, პანტა და სხვ.

სოფ. ჩაღლაიანი, ჩაღლაიანის ხეობაში განლაგებულ კიდევ ხუთი სოფლის ცენტრს წარმოადგენს. ჩვენს სოფელში ჯანმრთელობის კერა [PTT subesi], სამი ბაყალი და ერთი ყავახანა არის. საშუალო სკოლა, რომელიც ოცი წლის მანძილზე სიცოცხლით ავსებდა იქაურობას, შარშან დაიხურა და დაიხურა იმის გამო, რომ ჯერ მასწავლებლების უკმარისობა იყო, ხოლო შემდეგ ძალზე შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობაც. სოფელ ჩაღლაიანში, სადაც 1936 წელს გაიხსნა დაწყებითი სკოლა, დღეს მოსწავლეთა რაოდენობა თერთმეტამდე დავიდა. ამ სკოლაში ორი მასწავლებელიღა ეწევა საქმიანობას.

ჩვენს სოფელში სწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და სკოლის გახსნის დღიდან დღევანდლამდე ორმოცდაათი მასწავლებელი გაზარდა. ამას გარდა, თუმცა მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც გაზარდა ექიმი, ინჟინერი; სხვა სფეროებშიც ჰყავს მას უნივერსიტეტდამთავრებულები.

1986 წლის ბოლოსათვის ჩვენს სოფელს ელექტრონი მისცეს. 1994 წლის ზაფხულში კი სახლებში ტელეფონები აწკრიალდა. 1969 წელს ტყის სამუშაოების ჩასატარებლად გაყვანილი გზა, რომელიც სოფლისპირს მიუყვებოდა, 1993 წლის შემოდგომიდან სოფლის თავკაცების წყალობით, ჯერ სოფლის ცენტრს, ხოლო შემდეგ დანარჩენ უბნებს დაუკავშირდა. ამის შემდეგ კი დაიწყო მისი საძოვრებამდე გაყვანა. წლევანდელ ზაფხულს (1996 წ.) დასრულდება მისი იალაღებთან შეერთება. ჩვენი იალაღები სოფლის ცენტრიდან 4 საათის ფეხით სასიარულო მანძილზეა და ჩვენს წინ სასაზღვრო ფერდობები შეუიარაღებელი თვალითაც კარგადა ჩანს.

სოფლის სახლები უმრავლესწილად ხისაა. სოფლისა და სარაიონო გზების გაყვანის შემდეგ, ბოლო წლებში შერეული – ხე-აგურის სახლების შენებაც იწყეს. სოფელში, ზოგიერთ სახლში ორ-ორი ოჯახი ცხოვრობს. გაყოფილ ძმებს ხშირად საშუალება არა აქვთ სახლის აშენებისა; ასეთ შემთხვევაში ორი ოჯახის ერთად ცხოვრების სიძნელეები მაშინვე იჩენენ ხოლმე თავს.

ჩვენს სოფელს თავისი ადათები და ტრადიციები გააჩნია. დაოჯახება შუამავლის მეშვეობით ხდება. მოლაპარაკება რომ დამთავრდება, ჯერ ნიშნობა და მერმედ ქორწილი იმართება. პატარძალი, ცხენზე შემსხდარი ხელისმომკიდე ქალები და სტუმრები აკორდეონის აკომპანიმენტით სიძის სახლში მიჰყავთ. ორ ხელისმომკიდესთან ერთად სახურავზე ჩასაფრებული სიძე ცხენზე მჯდომ პატარძალს თავზე შაქარსა და ფულს აყრის. ამ დროს სახურავზე მყოფი მისი ხელისმომკიდეები თოფებს დააქუხებენ. სტუმრებს, რომლებსაც „მაყარს" (makar) ეტყვიან, საღამოთი და დილას სათითაოდ საჭმელ-სასმელს მიართმევენ. დილის დანაყრების შემდეგ ერთ ლანგარზე „მაყრის საჩუქრის" (makardan hahsis) სახელით ფული გროვდება. „საჩუქრების გამცემთ" გოგოს მხარე ხელით ნაქსოვ მატყლის წინდებს ურიგებს და შემდეგ იწყება დროსტარება. ორ დღესა და ორ ღამეს გრძელდება გართობა; მესამე ღამეს პატარძალს გადაუხსნიან წითელი ძაფით ნაქსოვ თავსაფარს, რომელსაც „ვალას" ეტყვიან და მას ფულითა და საჩუქრებით უვსებენ. ჩამოსაბმელებს ჩამოჰკიდებენ. ამის შემდეგ გოგოს ხელისმომკიდეთა მხრივ რიგდება „ქათეები" და ქორწილი ცეკვა-თამაშით ნებანება მთავრდება, ბოლო დროს სალონური ქორწილების მოყვარულნიც გამოჩნდნენ; ისინი მანქანებით მიემგზავრებიან ილჩეს ცენტრში და იქ იხდიან ქორწილს.

ჩვენს სოფელში, ტრადიციულად 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე საიალაღო დღეობები იმართება. მინდვრის სათიბი სამუშაოების დამთავრებასთან და ცხვრის სოფელში ჩამორეკვასთან დაკავშირებულ ამ დღესასწაულს ადგილზე „მარიობა" (marioba) ეძახიან. შავშეთის ჩვიდმეტ ქართულ სოფელში ეს ტრადიციული მხიარულობები დროში მოქმედების შესაბამისად განსხვავებებსაც გვიჩვენებს. ზოგიერთ სოფელში დღეობების შემდეგ გადიან სათიბში, ანუ ეს ბედნიერი დღეები იალაღებზე ძვლისა და დაბანაკებისთანავე იწყება. ძველთაგან ასეც იყო, იალაღებზე ყოფნის დღეები რომ გასრულდებოდა და სოფელში როცა ჩამოდიოდნენ, სოფლის შუაგულიდანვე ზურგზე აკორდეონმოკიდებული ყველა უკლებლივ ჭარხლის საკრეფად გადიოდა, თან საკერძე ჭარხალი იკრიფებოდა, თან მხიარულობდნენ კიდეც. ეს დღეობა, რომელსაც „მეჭარხლის დღეობა" ერქვა, დღეს უკვე ძალზე იშვიათად სრულდება.

ჩვენს მხარეში ერთ-ერთი გავრცელებული გასართობი გახლავთ ის, რომ გრძელი ზამთრის ღამეებში ახალგაზრდობა ერთ რომელიმე სახლში შეიკრიბება, ჭამენ, სვამენ და დროს ატარებენ; ფულს შეაგროვებენ და ან საკლავს დაკლავენ, ან არადა „ბიშის" რომ ეტყვიან, ამ ერბოში შებრაწულ ცომს მიირთმევენ, მუსაიფობენ და დროს ატარებენ. ამ გასართობს კი „ჰარფანა" (harfana) ჰქვია. ჩვენს სოფელში განსაკუთრებით კოლექტიური გასართობები უყვართ. ამგვარად, თან ერთიანი ძალით სახლის პატრონის საქმე კეთდება, თან კიდევ ჭამენ, სვამენ და თავს იქცევენ. შემოდგომის „სიმინდის დაფხვნის" კოლექტიური შეკრებები, ზამთრობით მატყლის ჩეჩვისა და დართვის ასევე ერთობლივი თავშეყრები ამ სახეობათაგან ერთ-ერთია ასეთ თავყრილობებზე; სახლის პატრონი თავშეყრილთ აჭმევს და ასმევს; მეორეს მხრივ კი ისინი თამაშობენ სხვადასხვა თამაშობებს, ლექსაობენ (მანიებს იტყვიან) და ერთობიან. ამ სახის კოლექტიურ თავშეყრებს ჩვენს სოფელში და ჩვენს მხარეში „ირგათ იაფმას" (irgat yapma) უწოდებენ.

თურქული ჟურნალი „Creneburi"
იანვარ-ივნისი, 1996 წ.
№19-21, სტამბოლი.

1. ილი (ძვ.ვილაიეთი) – ყველაზე დიდი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულია თურქეთში.

2. ილჩე – ილში შემავალი უფრო მომცრო ადმინისტრაციული ერთეული.

3. ბუჯაღი – მცირე ადმინისტრაციული ერთეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მკითხველთა ფოსტიდან

# ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ, ბატონებო!

დღეს საქართველოს ძალიან უჭირს. უჭირს ყველა სფეროში: სულიერად, ფიზიკურად, ეკონომიურად. დაიმშა და გამოიფიტა საქართველო. ხანდახან მეჩვენება, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ხელოვნურადაა შექმნილი. სადღაა ეროვნული, პატრიოტული სულით აღტყინებული ახალგაზრდობა, ექვსი წლის წინათ რომ იყო. ბევრმა გაყიდა თავისი თავი მწვანე დოლარებზე, ბევრმა ვერ გაუძლო და გაიქცა საზღვარგარეთ, ბევრი თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა.

ავტომატების კაკანი აღარ ისმის. საქართველოში სტაბილურობა სუფევს. ავტომატების ხმა ღმერთმა აღარ გაგვაგონოს, გვეყოფა ამდენი სისხლი, ნგრევა, მაგრამ ეს სტაბილურობა ხომ სასაფლაოს, მიცვალებულებისას გვაგონებს.

რამოდენიმე წლის წინათ წარმოთქმული ლოზუნგი: „მამული, ენა, სარწმუნოება" ვისღა ახსოვს.

მამული? სადღაა იგი, დაჩეხილი და დანაწევრებულია. შეიძლება მამული ერქვას საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე?

სამცხე-ჯავახეთიც დიდი ხანია ამოვარდნილია ქართული კონტექსტიდან, დაკონსერვებულია ეთნიკური კონფლიქტი და ღმერთმა ნუ ჰქნას, ეს კუთხეც იურიდიულად დაიკანონონ, როგორც ეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ხდება. ჩვენ ამ მოვლენებს ოლიმპიური სიმშვიდით ვხვდებით. სად გვცალია. გათენდება თუ არა, დამშეული ხალხი პურზე და სხვადასხვა საკვებზე დარბის. დღეს ხორციელად გადარჩენაა მთავარი, სულის გადარჩენაზე აღარავინ ვფიქრობთ.

მაშ სადღაა მამული?

დიდებული ენა დღეს შერყვნილია. ხომ შეგხვედრიათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ახალგაზრდები, სალეჭი რეზინის ღეჭვით როგორ ეუბნებიან ერთმანეთს: „ჩემი დედას გეფიცები, ჩემი დედა..." და კიდევ მრავალი სხვა ჟარგონები. ეს ამაზრზენია...

არა მარტო ახალგაზრდა ყმაწვილებისაგან, არამედ ბევრი ისეთი ტიტულოვანი პიროვნებებისაგან მსმენია ეს უზნეო ფრაზები, რომ გავოგნებულვარ.

მე მრცხვენია მათ მაგივრად.

არასოდეს არ ყოფილან ქართველები ასეთი ამპარტავნები, ამბიციურები, როგორც დღეს. მაცხოვარი გვეუბნება: „ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, ხოლო რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს".

საოცრად გულგრილები, ცივები გავხდით ყოველგვარი ტრაგიკული მოვლენების მიმართ. ვიღაც აივნიდან გადმოხტა, ვიღაცამ მტკვარში თავი დაიხრჩო. ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ, ჩვენი რა ბრალია.



ვებრძვით კი ამდენ მომრავლებულ სექტებს, მწვალებლებს. არ არსებობს საქართველოს არცერთი კუთხე, პროვინცია, სადაც ისინი არ არიან. სულ უფრო და უფრო ბევრ ქრისტიან ქართველს იზიდავენ, აცდუნებენ. ხალხიც ისე დაბრმავდა, ნათელისა და ბნელის გარჩევის უნარიც კი არ შესწევს. ჩვენც მშვიდად შევცქერით ამ ტრაგედიას.

ქართული, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება ნიშნავს მართლმადიდებლობის შენარჩუნებას. მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე ქრისტიანობისათვის ბრძოლა - საქართველოსათვის ბრძოლას ნიშნავდა. დღეს რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ გადავარჩინოთ ეროვნული ტრადიციები? არაფერს. მშვიდად შევცქერით შოუ-კონცერტებზე „მოგრიალე" ჩვენს მომავალ თაობას. მშვიდად შევცქერით ტელევიზორის ეკრანზე აღვირახსნილ, გარყვნილ ფილმებს. თუ შვილი, ძმა, მეუღლე ან ახლობელი არ გვიზის გვერდით, ხომ კარგი, სიამოვნებით ვუყურებთ, თუ არა და მორიდებით შევაბრუნებთ სახეებს და გვრცხვენია. ვიმყოფებით ასე სირაქლემებივით ქვიშაში თავწარგულნი. ავწიოთ თავი და ვთქვათ: ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ, ბატონებო...

მზია ბალავაძე

# შემომეყარა ყივჩაღი ანუ ძალადმაცხონე „მეზობელი" და კომპანია

„ვაი; ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-მრალითა"

ვაჟა

საბურთალოს რაიონის ზემო ვეძისის ქუჩის 33-ში ქუჩიდან პირველი ჩემი და ჩემი ძმის - მერაბ ვარდანაშვილის სახლია თავისი ეზოთი, რომელიც ქალაქის საბჭომ 1953 წელს გაგვიმწესა მუდმივი სარგებლობისათვის. გვაქვს მშენებლობის ნებართვა, პროექტები და ყველა დოკუმენტი, დამადასტურებელი ჩვენი სახლ-კარის კანონიერებისა.

რაც შეეხება ჩვენი სახლის უკან მდგარ 33 „ა"-ს, მას არ აქვს მიწის ნაკვეთის გამოყოფის გადაწყვეტილება, მშენებლობის ნებართვა, პროექტები. რაც მთავარია, ამ სახლს გზა არა აქვს, მისი მფლობელნი ჩვენი კეთილმეზობლობისა და სულგრძელობის გამოისობით ფეხით სასიარულოდ ჩვენივე ეზოთი სარგებლობდნენ და არც რაიმე პრეტენზია ჰქონიათ - მათი ნაგებობა ხომ უკანონო იყო. დაკანონებისას კი ჩვენგან თანხმობა ამის შესახებ არ ყოფილა. საკითხი ადგილზე არავის შეუსწავლია, არ შეუმოწმებია, თორემ ცხადია, ამგვარ სახლს არავინ დააკანონებდა.

სამოციანი წლების ბოლოს, ყოფილმა მეზობელმა ისარგებლა რა ჩვენი თბილისში არყოფნით, დიდი ჭიშკარი გაუკეთა ჩვენ მხარეს თავის ეზოს და, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, რომ მისასვლელი სხვა მხრიდან გაეკეთებინა, სანამ ამის საშუალება კიდევ არსებობდა, მაინც ჩვენს ეზოზე გააგრძელა ფეხით სიარული. იყო ამ ფაქტის გამო სერიოზული უთანხმოებანი, მეზობელი ნაჯახსაც კი ძლივს გადაურჩა, სამი თვით გადაიხვეწა კიდევაც, მაგრამ ისევ „შემოგვარიგეს" - „კუბოს გატანა რომ დამჭირდეს, რა ვქნაო"!

1991 წლის შემოდგომის მიწურულს ყოფილ მეზობლებს ფათერაკი შეემთხვათ და ფული დაჭირდათ. სწორედ მაშინ გამოუჩნდათ ისინი 33 „ა"-ს ახალი მფლობელის ჩიქოვანის დედას ი.მახათაძე-ჩიქოვანისას. შეუსყიდია ჩალის ფასად ასე სახელდახელოდ დაკანონებული სახლი და შვილზე გადაუფორმებია. სახლის ყიდვა-გაყიდვის ფაქტი გამყიდველმაც და მყიდველმაც ჩვენ განგებ დაგვიმალეს. ამის შემდეგ მახათაძე მთელი სამი წლით გაუჩინარდა. სამი წლით იმიტომ, რომ საბურთალოს პრეფექტურის ავადსახსენებელ 1866-ე განკარგულებას ამ სახლის დაკანონების შესახებ გაპროტესტების ვადა გასვლოდა. ამ ხნის განმავლობაში მახათაძის ნაყიდ სახლში კიდევ ერთი დანაშაული მოხდა, მაგრამ ისეთი, კანონით რომ არ ისჯება. უყურადღებობით, სიცივითა და შიმშილით მოკვდა სახლის გამყიდველის დედამთილი. სხვათაშორის, ეს „სრულიად ზედმეტი" ისე წავიდა იმ ქვეყნად, არც კი გაუგია, რძალმა - მ.გურგენიძემ სახლი რომ გაუყიდა.

„ზედმეტი ბარგისგან" განთავისუფლებული დაქალები მ.გურგენიძე და ი.მახათაძე ახლა ჩვენ წინააღმდეგ შეითქვნენ. რაღაც ხომ უნდა მოეგონებინათ, თავად რომ ესარგებლათ, ჩვენთვის კი ევნოთ.

ალაგ-ალაგ დავიმოწმებ ციტატებს ჩემი მეუღლის - მიხა არაბულის წერილებიდან, რომლებიც ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა. „ამ ჩემი ცოდვით სავსე ჩიქოვანის ქალს გამდიდრების უცნაური გზა აურჩევია. იაფად ყიდულობს უგზო, უწყლო, უკანონო, სახლაფორთო ბინებს გაჭირვებულთაგან, გარკვეული დროის შემდეგ „მწვანე ფულით" ყოველგვარ პრობლემას სხვადასხვა ინსტანციაში მოკალათებულ „მუშაკებს" მოაკვარახჭინებინებს, შვილებზე ან სხვა თავისიანებზე გააფორმებს, და ასე სახელდახელოდ „დაკანონებულ" სახლს „ოთუსბირად" განასხვისებს. მოგებული ფულით კიდევ სხვა უკანონობას ჩაიდენს, ანდა სხვას ჩაადენინებს. მთელი მისი მოქმედება აგებულია შანტაჟზე, პროვოკაციასა და ცილისწამებაზე, და გაჯერებულია ყოვლისშემძლეობის მუქარით..."

გასული წლის გაზაფხულიდან სადღა არ იჩივლა მახათაძემ - სამანქანე გზას არ მაძლევს ვარდანაშვილიო და ასე აღმოჩნდა ეს ე.წ. საქმე საბურთალოს რაიონის სასამართლოში. ფეხით სიარული არავისთვის დაგვიშლია და არც ამ მოძალადეს ვუშლით, მაგრამ ადამიანი მტაცებელს კი არ უნდა დაემსგავსოს!

სულმნათი საბა გვასწავლის: „სამთა არა მართებენ მტერობანი: ერთს - ნავში მჯდომსა - მენავისა; მეორეს - მინდორს მსახლობელს - მაგართა ადგილთა მსახლობელისა; მესამეს - ნაკადულსა ზედა ბოლოს მსახლობელს - სათავეზე მსახლობელისა". სულხან-საბა კი გვასწავლის, მაგრამ ავ-იზოს მსგავსნი რაიმეს შეისმენენ?

როცა კაცი ახალ საცხოვრისს იძენს (თუმცა, ეს სახლი მახათაძეს გასაყიდად უნდა. 5 წელია მათ ერთი ღამეც არ გაუთევიათ აქ), ბევრი რამ უნდა აწონ-დაწონოს, მომავალ მეზობლებს დაელაპარაკოს, გაიცნოს და დაუახლოვდეს, მითუმეტეს იმათ, თუკი ვისიმე ეზოზე წლობით უნდა იაროს. სხვაგვარად მოქცევა მიზანშეუწონელია, მხოლოდ ჭკუიდან დაძრული კაცისგანაა მოსალოდნელი და თვით მასვე დააზარალებს.

სახლის შეძენიდან სამი წლის შემდეგ ი.მახათაძე გამოგვეცხადა და ჩვენს ეზოში მბრძანებლობა დაიწყო... კიბე აიღეთ, სახლამდე სამანქანე გზა უნდა გავიყვანოო.

მ.არაბული წერდა: „ძნელია, როცა კანონიერ ეზო-კარს ღამის შუაზე გიყოფენ, ცოლშვილს გიგინებენ, თმებით ითრევენ და ჯოხებით სცემენ, შენ კი წევხარ უილაჯო და არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. ორმაგად ძნელია, როცა ხედავ, რომ ყოველივე ამას ეს უზნეო და მოძალადე ადამიანები იმათი მხარდაჭერით აკეთებენ, ვინც წესით კანონის და მართლმსაჯულების სადარაჯოზე უნდა იდგეს".

სამართლებრივ ქვეყანაში ჩიქოვანის სახივარს სასამართლო ახლოსაც არ გაიკარებდა, მაგრამ...

„მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო" და მახათაძემ გურგენიძე მოიყვანა ერთადერთ მოწმედ. ამ უკანასკნელმა თავადვე აღიარა, რომ მძიმე ავადმყოფია, რის გამოც მოვითხოვეთ მისი ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება. მაგრამ კვლავ უარი მივიღეთ. ამ ცილისმწამებელმა მოწმემ კი, თავის მხრივ, მიცვალებული ადამიანები დაიმოწმა! წადი და ამოწმე!

ჩვენმა ადვოკატმა მეზობლების, ამ 40 წლის წინანდელი ამბის მომსწრეთა, ცოცხალ მოწმეთა დაკითხვა მოითხოვა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ. მაგრამ მოსამართლე დონჯაშვილმა არც ეს ისურვა. მოწმეები კი არა, მეც კი არ დამკითხეს, უფრო მეტიც, დამცინეს და, ისედაც გასაცოდავებული, აბუჩად ამიგდეს. ვიტირე და წამოვედი. ეს იყო უსამართლობის, უსულგულობის, ცალმხრივობისა და არაობიექტურობის დემონსტრაცია.

ადამიანებო, ეს ურედურებაა!

ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო. მაინც მაქვს იმედი, რომ საკასაციო სასამართლო, რომელსაც დამატებით დოკუმენტებს წარვუდგენ, იმას გააკეთებს, რაც თავის დროზე რაიონის სასამართლომ არ გააკეთა - შეწყვეტს ამ კაზუსური საქმის განხილვას, როგორც სასამართლოებისთვის არაქვემდებარეს და გადასცემს მას ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, თანახმად სსს კოდექსის 226 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 321-ე მუხლის მოთხოვნებისა.

„არა ცილი სწამო...", - მოგვიწოდებს და გვასწავლის უფალი, მაგრამ... ხომ რაღაც უნდა მოეგონებინათ მყიდველ-გამყიდველს, რომლის ძალითაც ჩვენ, სრულიად უბრალონი, ანგარიშვალდებულნი ვიქნებოდით 33 „ა"-ს ახალი მფლობელის წინაშე. ჰოდა, მოიგონეს კიდევაც. თითქოს ჩემს დედ-მამას გურგენიძის დედამთილ-მამამთილისთვის 40 წლის წინ მიეყიდოთ მათთვის სახელმწიფოსაგან გამოწესებული მიწის ნაკვეთის ფარგლებს გარეთ არსებული რაღაც „ეზო-სახლი" (?!). არავითარი საბუთი, არც დოკუმენტი ამის დამადასტურებელი მათ არ აქვთ. ან რა საჭიროა, როცა საკმარისია მელიის მოწმედ მოყვანილმა კუდმა თავის მხრივ მიცვალებულები დაიმოწმოს და დონჯაშვილისთვისაც ყოველივე „გარკვეულია". მიწის გაყიდვა მაშინ კი არა, ვგონებ, დღესაც არ არის ნებადართული.

მავანმა მავანის ცოლს ხიდის ყურზე ჭორი გაუვრცელა - შინ საყვარლები დაუდისო. მეჭორე დაანამუსეს - ეს ხომ მართალი არ არისო. მან კი უპასუხა: მე ჩემი ვთქვი, თუ მართალია, იმან დაამტკიცოსო.

ეს ცილისმწამებლები მეც ასეთ სიტუაციაში მაყენებენ. უნდა ვამტკიცო, რომ მართალი, უბრალო და უდანაშაულო ვარ, გაგონილა?!

მინდა ვინმე გამომეხმაუროს, მხარი დამიჭიროს. ეს ჩემთვის ძალიან დიდი შვება იქნება.

თუ შევძელი, კვლავაც ვამხელ მახათაძის სხვა კომპანიონებს: საბურთალოს რაიონის ყოფილ „პოლიცმეისტერს" და სხვა ულირსებო მოხელეებს.

მივმართავ მათ, ვისაც ამგვარ მოხელეთა ზედამხედველობა ავალია: ბატონებო! ამნაირი მუშაკების იმედით ჩვენ ვერც ტაძრისკენ მიმავალ გზას მივაგნებთ და ვერც სამართლებრივ ქვეყანას ავაშენებთ. მათგან უნდა გავთავისუფლდეთ!

სოფიკო ვარდანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

# მოდით, ერთად ვიცინოთ

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



რაჭველები დიდ ქალაქში ჩავიდნენ. ასფალტზე ფეხს ფრთხილად ადგამდნენ, არ ჩაგვიტყდესო. დაინახეს უზარმაზარი ძეგლი და მოითათბირეს: - გადავდგათო! ხურჯინები გზისპირას დააწყვეს, ზედ დაალაგეს სხვა ბარგი, გაიხადეს პიჯაკები და მიაწვნენ ძეგლს. დიდხანს ეჯაჯგურენ. ოფლად გაღვრილებმა მოიხედეს და ვეღარც ხურჯინები დაინახეს, ვეღარც სხვა თავიანთი რამერუმე და ძეგლს თავი მიანებეს: - ეყოფა, ერთობ შორს გადაგვიწევიაო!

* * *

რაჭველებმა ორმო ამოთხარეს. - ეს ამოყრილი მიწა სადღა წავიღოთო?! - იკითხა ერთმა. - უფრო დიდი ორმო ამოვთხაროთ და ორივეს მიწა შიგ ჩავყაროთო! - მიუგო მეორემ.

* * *

რაჭველ იონას აბაზი ჩაუვარდა იატაკის ღრიჭოში და გახევდა. - ამდენს რას ფიქრობო? - ჰკითხა ცოლმა. - არაფერსო! - მიუგო იონამ, - აიღო ასმანეთიანი და იმავე ღრიჭოში ჩააგდო. - ეს რა ჩაიდინეო?! - უყვირა ცოლმა. - აბა, ამხელა იატაკს აბაზისთვის ხომ არ ავყრიდიო? - მიუგო იონამ.

* * *

სტუმრად მისული ოტო მასპინძელს უამბობდა:

- ჩემი ცოლი უცნაურ ვითარებაში ავიცანი: მანქანა დავაჯახე, საავადმყოფოში მოვიყვანე, რამდენჯერმე მოვინახულე და როდესაც განიკურნა, დავქორწინდით.

- დიახ, დიახ, ყოველთვის ვამბობ: ადამიანებმა რომ იცოდნენ, საგზაო შემთხვევებს როგორი ტრაგიკული შედეგები მოსდევს, მანქანის ტარებისას უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდნენ, - მიუგო მასპინძელმა.

* * *

- დედა, რძეში თაგვი ჩავარდა.

- მერე, რა ჰქენი, ამოიყვანე?

- არა, კატა ჩავაგდე და ის ამოიყვანს.

* * *

მოსამართლე მსჯავრდებულს:

- რამის დამატება ხომ არ გსურთ?

- არა, გმადლობთ, ბატონო მოსამართლე, ორი წელი სამყოფია!

* * *

- შენ ისე აღარ გიყვარვარ, როგორც ქორწინებამდე გიყვარდი.

- - რას იზამ, მე არასდროს მყვარებია გათხოვილი ქალები.

* * *

აღდგომის მეორე დღეს ბრეჟნევი ცეკაში მივიდა. დერეფანში შესვლისთანავე მისკენ გამოემართა ერთ-ერთი თანამშრომელი:

- ლეონიდ ილიას ძევ, ქრისტე აღსდგა!

- გმადლობთ. - უპასუხებს ბრეჟნევი და აგრძელებს გზას.

ახლა მეორე თანამშრომელი შეხვდა.

- ლეონიდ ილიას ძევ, ქრისტე აღსდგა!

- გმადლობთ. ეგ უკვე მომახსენეს!

* * *

ციხეში:

- შენ პოლიტიკურზე ზიხარ თუ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო?

- პოლიტიკურზე. სანტექნიკოსი ვარ, ქალაქკომში დამიძახეს. სანახავი ვნახე და ვთქვი: „აქ მთელი სისტემა უნდა გამოიცვალოს-მეთქი!"

* * *

სამოქალაქო ომი ის-ის არის დამთავრდა. ქმარი ჯერ კიდევ ჯარშია, ცოლი - სოფელში.

ცოლი დეპეშას უგზავნის ქმარს: „კარტოფილი დასათესია. არავინაა, ბოსტანი გადამიბაროს". ქმრის საპასუხო დეპეშა ცოლს: „მიწას ხელი არ ახლო, შიგ ყუთია საზხანებით ჩამარხული". ცოლის დეპეშა ქმარს: „ჩეკა"-დან მოვიდნენ. მთელი ბოსტანი გადათხარეს". ქმრის დეპეშა ცოლს: „ახლა დათესე კარტოფილი".

* * *

- სარა, იცი შენ, ვინ არის მარქსი?

- არა.

- აი შენ რომ ჩემთან ერთად ოთხშაბათობით და პარასკეობით გევლო პოლიტწრეში, მაშინ გეცოდინებოდა.

- შენ კი იცი, ვინ არის ფაინბერგი?

- არა.

- ჰოდა, შენ რომ იმ წრის მეცადინეობაზე არ გევლო, გეცოდინებოდა, ვინ მოდიოდა ოთხშაბათობით და პარასკეობით შენ ცოლთან.

* * *

მოსამართლე გამოდის სხდომათა დარბაზიდან და ხარხარებს.

- რა მოხდა? - ეკითხება მისი კოლეგა.

- ანეკდოტი გავიგე, საშინლად სასაცილო რამაა!

- შენც მომიყევი!

- ვერ მოგიყვები, მისი მოყოლისთვის ეს-ესაა თხუთმეტი წელი მივუსაჯე ერთ კაცს.

* * *

საუბარი ციხეში:

- რისთვის ზიხარ?

- სტალინს შევუკურთხე. შენ რისთვის ზიხარ?

- დაზარებისათვის. ვასკამ ანეკდოტი გვიამბო. მე დამეზარა, პეტკა კი გაიქცა.

* * *

საუბარი ციხეში:

- რისთვის ზიხარ?

- ივანოვს ვაგინებდი.

მეორეს ეკითხებიან:

- შენა, შენ რატომ ზიხარ?

- ივანოვს ვაქებდი და იმიტომ.

- აი, შენა, შენ რატომ ზიხარ?

- ივანოვი ვარ და იმიტომ.

* * *

საუბარი ციხეში:

- რისთვის ზიხარ?

- ავტომობილის გატაცებისთვის. შენა?

- ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს:

- „ამ გარეწრის სურათი მოაშორეთ აქაურობასო". რომლისა-მეთქი, ვიკითხე მე.

* * *

რა სხვაობაა სსრკ და აშშ კონსტიტუციებს შორის?

- სიტყვის თავისუფლების გარანტიას ორივე იძლევა, მაგრამ მეორე ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგაც იძლევა თავისუფლების გარანტიას.

* * *

მიხა ცხაკაია მასებს ბოლშევიკურად ასე ალანთებდა:

- ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლება დღეს მსოფლიოს ერთ მეექვსედზეა დამყარებული. მაგრამ გავა დრო და იგი მსოფლიოს ერთ მეათედზე, ერთ მეასედზე, ერთ მეათასედზე დამყარდება. ვაშა, ამხანაგებო!

* * *

სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მიკროფონთან ჩუქჩა მივიდა:

„მე გთხოვთ, ხმა მისცეთ ლეზოლუციას, რომელიც გმობს ლომანოვების დინასტიას: ალიასკა ლომ გაყიდეთ, ჩუკოტკამ ლა დააშავა?!"

* * *

აბიტურიენტი სკკპ ისტორიაში აბარებს გამოცდას და სრულ უვიცობას ამჟღავნებს. სასოწარკვეთილმა, გამომცდელმა არ იცის, რა იღონოს:

- ის მაინც გეცოდინებათ, 1917 წელს რა მოხდა?

- ნწუ!

- მარქსის გვარი მაინც გექნებათ გაგონილი...

- ნწუ!

- ლენინისა?

- ნწუ!

- კი მაგრამ, ასეთი გაუგებარი საიდან მოხვედით?

- ურიუპინსკიდანა ვარ.

გამომცდელმა მძიმედ ამოიოხრა, ფანჯარასთან მივიდა, ცივ მინას შუბლით მიეყრდნო და ნაღვლიანად წაიბურტყუნა:

- ეჰ, უნდა მიაფურთხო კაცმა ყველაფერს და ურიუპინსკში გაუტიო...

* * *

ლეონიდ ილიჩი პოლიტბიუროს სხდომაზე გამოდის: „ამნახაგებო, შემომაქვს წინადადება, გამოვიყვანოთ პოლიტბიუროს შემადგენლობიდან ამხანაგი პელშე, ვინაიდან ამხანაგი პელშე თავის თავს ვერ ცნობს. გუშინ მე შევხვდი ამხანაგ პელშეს და ვუთხარი: „გამარჯობათ, ამხანაგო პელშე!" ის კი მეუბნება: „გამარჯობათ, ლეონიდ ილიჩ, მაგრამ მე პელშე არა ვარ".

* * *

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროგრამის მზადებისას რიჟკოვი ქარხანაში მივიდა, რათა ხალხს დასთათბირებოდა.

- ამხანაგებო, არყის ფასი ოცი მანეთი რომ გახდეს, მაინც იყიდით?

- ვიყიდით, ნიკოლაი ივანოვიჩ!

- ორმოცდაათი მანეთი რომ გახდეს?

- ვიყიდით, ნიკოლაი ივანოვიჩ!

- ასი მანეთი?

- მაინც ვიყიდით!

- გავიხედეთ და... ას ორმოცდაათი ღირს?

- ვერა, ნიკოლაი ივანოვიჩ, ჩვენი ხელფასი 140 მანეთია.

* * *

ნინიას უთხრეს: უჟანგბადოდ ყველაზე დიდხანს ვეშაპი ძლებს: ერთხელ რომ ჩაისუნთქავს, მეორე დღემდე არ ამოისუნთქავსო.

- ეგ რა არის შე კაცო, მე 21-ში რო ჩავისუნთქე, დღესაც არ ამომისუნთქავსო. - მიუგო ნინიამ.

* * *

ნინიამ საზღვარგარეთის ტურისტული საგზური მოითხოვა. ვერ გაგიშვებთ, საგზურებს მხოლოდ მინისტრებსა და მთავრობის წევრებს ვაძლევთო, უთხრეს ნინიას.

- მე მაგათი გულისთვის ვაპირებდი წასვლას. ეგენი თუ იქ მიდიან, მაშინ მე აქ ყოფნა მირჩევნიაო! - უპასუხა ნინიამ.

* * *

- განქორწინების თაობაზე განცხადება შემაქვს სასამართლოში. უკვე მეექვსე თვეა, ხმას არ მცემს.

- დაფიქრდი, სემ! ასეთ ცოლს სად იშოვნი.

* * *

ქმარი: რა გატირებს? მთელი წლით ხომ არ მივდივარ, ერთ თვეში დავბრუნდები.

ცოლი: - გიცნობ, რა შვილიც ხარ! ერთ თვეშიო და ორი კვირის შემდეგ მომადგები ხოლმე.

* * *

ექიმი: - სხვას ხომ არავის გაუსინჯიხარ?

ავადმყოფი: - მხოლოდ აფთიაქართან ვიყავი, რჩევა ვკითხე.

ექიმი: - ღმერთმა უწყის, რა სისულელე გირჩიათ!..

ავადმყოფი: - თქვენთან მომასწავლა.

* * *

ცოლ-ქმარი იყრებოდა. მსაჯულმა გაყრის მიზეზი იკითხა.

- მიზეზი ისაა, - განუმარტა ცოლმა, - რომ ჩემი ქმარი ბატივით ჩერჩეტია.

- ნუთუ ქორწინებამდე არ იცოდით ეს?

- არ ვიცოდი...

- ტყუის! იცოდა!.. - იღრიალა ქმარმა.

* * *

- ბიჭოს, ვინ დაგკაწრა ასე გამეტებით?

- შენ, რაო, უცოლო ხარ?

- არა, კაცო, ცოლიანი.

- მერე და რატომ მეკითხები ასეთ სისულელეს?

● პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

ვაჟა ოთარაშვილი

## ტაკიმასხარა

(იმპრესიონისტული მოზაიკა)

„სახიერო უფალო შეუნდევ მოძულეთა
და მაჭირვებელთა ჩუენთა...“
ლოცვა ძილად მისვლისა

ეძახეთ ერთმანეთს ბოზები,
ესროლეთ ერთმანეთს ქვები...
მიირთვით ერთურთის კოვზებით,
საკუთრით რადგან ვერ ძღებით...
„თქვენ ბრძანეთ, რას ამბობთ, თქვენ ბრძანეთ,
მზად ვართ და ყურს გიგდებთ მუდამ!“
ძვირფასო, ჩაი თუ გემწარა,
შაქრისთვის აღარ გვაქვს ხურდა...
ამრავლეთ უსქესო კაცები,
აკურთხეთ უსქესო ძენი...
ნეტა ვინ დარჩება ნაცემი,
ახალი ქვრივი თუ ძველი?
შეუდეთ, სიფრთხილით შეუდეთ,
რეზინის თავაკი ოყნის...
შეუნდეთ, ბოლომდე შეუნდეთ,
ცოდვები ისედაც მოხრის...
ჩაუქრეთ, სინათლე ჩაუქრეთ!
მაგ ინკუბატორის ქათმებს...
არავინ არ დარჩეს ჩაუქი,
თორემ სულს მე ამოვართმევ!
გაალეთ, გაავსეთ საკანი,
შეყარეთ, შეყარეთ ძალით,
ძაღლის თუ მოგესმათ ყაყყაფი,
სასწრაფოდ დაუგდეთ ძვალი...
აიღეთ, აიღეთ ფულები!
მიართვით, მიართვით გენერალს...
გაყიდეთ გაგრა თუ ყულევი,
სარფი თუ ასპინძა... მერე რა...
დაჰკიდეთ, დაჰკიდეთ ორდენი!
ღირსებას ხომ ვუწყობ მასკარადს...
თვალებზე ცრემლების მომდენი,
გახლავართ მე ტაკიმასხარა...



# კაიფვორდი



თარაზულად: 4. „ორჯერ დაჟანგული ნახშირის“ ქიმიური ელემენტი; 9. რაიმეს დასამზადებლად საჭირო „ქონიანი“ ნედლეული; 10. „შვიდი პანის“ თავყრილობა; 12. „ბიჭიკოს“ ტრანსპორტი; 14. ჩაქუჩის მძიმე „ძმა“; 15. „წინიანი“ ფეხბურთელი; 16. ერი, რომელსაც ყოველი კვირა „აღდგომა“ აქვს (რუს. კავშ.) 19. „უვადო“ შტატი; 20. „მსოფლიოსთვის ფეხსაცმლით დამმუქრებელი“ სახელმწიფოს მეთაურის სახელი; 22. „მის მიერ გაგლისული“ დასასვენებელი ადგილი; 24. „მშიერი“ ფრინველი; 26. „პირიანი“ ნახევარკუნძული; 30. „ხალიანი“ ქარი; 32. ხასიათის გაუტეხელი „შარი“; 33. „არსებობს ტო“ ეს კაცის სახელი; 34. „ნალიანი პიპინი“; 35. მოულოდნელი, უეცარი „სვაბოდა“; 36. „მყეფავი“ მომღერალი ქალის სახელი (რუს.კავშ.) 37. „კაი ტიპი“ მანქანა.

შვეულად: 1. „დაქსაქსული ფონის მქონე“ ინსტრუმენტი; 2. „კომაში მყოფი“ გაერთიანება; 3. „ნასუქი“ დოკუმენტი; 5. „გასაგდები“ მათრახი (რუს. კავშ.); 6. „მროშავი“ რევოლუციონერი ბავში; 7. „მის მიერ ათჯერ გაგზავნილი“ შეფუთული ნივთი; 8. „რალის მოყვარული“ სამხედრო პირი; 11. „კასპაროვის დვაინოი“ ხილი; 13. „ცისფერი“ მთები; 17. „ჯუცე“ კაცის სახელი; 18. „პაპის ასი“ ტომის კაცი; 20. „ავი“ ქარი; 21. „ტანის შემგროვებელი“ სამხედრო ჩინი (რუს. კავშ); 23. სადილის საჭმელი ადგილი; 25. „შესახტომი“ მაღარო; 27. „ბუს საკუთრებაში“ მყოფი ნოტის გამოცანა; 28. „ნარნარიანი ზარების“ თამაში; 29. „ანის მიერ მიყენებული“ ზარალი; 31. „ხამი“ საწამლავი.

თემურ სიმონიშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული „კაიფვორდის“ პასუხები

თარაზულად: 1. მარხილი; 6. გული; 7. მარო; 11. ყორანი; 12. „ნიანგი“; 14. ავარა; 16. კარატე; 18. ფლირტი; 19. რელიგია; 21. სტალინი; 24. საბანი; 25. აივანი; 26. ქოსაი; 28. ადგილი; 30. „გულაგი“; 32. ოფლი; 33. აფრა; 34. ტირიბუა.

შვეულად: 2. ამიმია; 3. ლიმონა; 4. დურა; 5. არფა; 8. გოგრა; 9. ალალი; 10. ეგერი; 13. იკაროსი; 15. სიცილია; 17. ეროსი; 18. ფალია; 20. აბედი; 22. ლისტი; 23. ბარგი; 26. ქილიკი; 27. ოგუასუ; 29. იაფა; 31. ლარი.

იყიდება 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა
ვარკეთილი–3, II მ/რაიონის II კორპუსში V
სართულზე.
ცნობებისათვის დარეკეთ 71–08–78
იკითხეთ მარინა



# კროსვორდი



თარაზულად: 3. ორშიმო ანუ... 5. ტანმორჩილი ხე გლუვნაჭუჭიანი მოგრძო ნაყოფით; 7. არაუცხოური (მაგ. მრეწველობა); 9. ქალაქი-ნავსადგური გფრ–ში; 11. ერთ–ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ცნობილ ტელესერიალში „გაზაფხულის 17 გაელვება“; 13. მსუბუქი ნამცხვარი; 15. ხახუნი (უცხოური შესატყვისი); 16. კუნძული წყნარ ოკეანეში, ჩინეთის აღმოსავლეთ ნაპირთან; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. ერთ კუბურ სანტიმეტრ სითხეში გახსნილი ნივთიერების ქიმიური გამოსახულება; 24. რაინდთა საბრძოლო ასპარეზობა შუა საუკუნეებში; 25. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის ზოგიერთი მონაწილის ჩამოშორება ან თვითჩამოშორება საქმის წარმოებიდან; 26. გენერალი, სომალის ერთ–ერთი კლანის შეიარაღებული ჯგუფის ხელმძღვანელი; 27. ყოფილი უკრაინელი პოლიტპატიმარი, დემოკრატიული მოძრაობის „რუხის“ ლიდერი; 29. განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი (70–იანი წლები); 33. მხდალი, ლაჩარი; 34. ქართული ცეკვა; 35. დიდი წვეულება; 36. ისტორიული პუნქტი ქართლში, თეძმის ხეობაში, სადაც 1609 წელს ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლისას განსაკუთრებით ისახელა თავი გ.სააკაძემ.

შვეულად: 1. ებრაელთა სასულიერო პირი; 2. მწერიჭამია ცხოველი; 4. სასროლეთი (უცხოური შესატყვისი); 6. ორნამენტული მოტივი ძველი ინდოეთის, ჩინეთის და იაპონიის ხელოვნებაში; 8. ზღვის ყაჩაღი; 10. საქვების ულუფა გარკვეული ვადისათვის; 12. ერთ–ერთი უძველესი სახენელი იარაღი; 14. ღრუ, რომელიც ჩნდება ორგანოში ქსოვილების დაშლისას; 17. ქალაქი აღმოსავლეთ ჩინეთში; 19. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული; 20. „ფლეიბოის“ ფოტომოდელი, მონაწილე ეროტიკული დეტექტივისა „უხამსი საქციელი–2“; 21. ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ფირფიტებისაგან შემდგარი დარაბა ან შტორი; 22. პურის საჭმელად მომზადებული მაგიდა; 23. რისამე ადმინისტრაციულ–ტერიტორიული დანაყოფი; 28. სქესობრივი სწრაფვა, ჟინი; 30. პიროვნების ან დაწესებულების ანაბარი უცხოეთის ბანკში; 31. მოკლე ზნეობრივ–დამრიგებლობითი გამონათქვამი (ხშირად ლექსად); 32. სასულის დასაწყისი ნაწილი.

გიორგი გასიტაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

თარაზულად: 5. ტრაქტატი; 6. ავშაროვი; 7. „ბაიდერა“; 8. ადმირალი; 10. ვახტანგი; 12. ქვე; 14. ვარიანტი; 16. ბანქო; 17. აორტა; 18. ანომალია; 20. ირა; 21. ოდალისკა; 25. ინტუიცია; 26. ელემენტი; 27. კოსიგინი; 28. დრეზდენი.

შვეულად: 1. კლასიკა; 2. მოტორი; 3. თავადო! 4. პროფანი. 7. „ბახტრიონი“; 9. იანკოვსკი; 10. ვანგა; 11. ოუნგა; 12. ქრომი; 13. ეწადა; 14. ვარდო; 15. იონჯა; 19. არტისტი; 22. ლენტეხი; 23. ნიანგი; 24. ალერსი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ეროვნული ბიბლიოთეკა